ISSN 0130-1624

ეროვნული ბიბლიოთეკა
619
1980




# დროშა

იანვარი
№ 1 1980 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# საქართველოს მიწათმოქმედთა წარმატება

## საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

### საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მშრომელებს, მეცნიერებსა და სპეციალისტებს, პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ მუშაკებს, რესპუბლიკის ყველა მშრომელს

ძვირფასო ამხანაგებო!

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში დიდი კმაყოფილებით შევიტყვეთ, რომ საქართველოს სს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა წარმატებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის მარცვლეულის, ხარისხოვანი ჩაის ფოთლის, ყურძნის, ხილისა და ციტრუსის, ბოსტნეულისა და ბაღჩეულის, კარტოფილის მიყიდვის გეგმები და სოციალისტური ვალდებულებანი.

მიმდინარე წლის ამინდის რთულ პირობებში რესპუბლიკის მიწათმოქმედებმა ჩაის ფოთლისა და ციტრუსის რეკორდული მოსავალი მოიწიეს. სასიხარულოა აღინიშნოს, რომ ძირითადი პროდუქტების შესყიდვის მიხედვით არათუ მთლიანად შესრულდა წლიური გეგმა, არამედ გადაჭარბებითაც არის განაღდებული ხუთწლედის ოთხი წლის დავალება. ამით რესპუბლიკის მშრომელებმა დიდი წვლილი შემატეს ძვირფასი სასურსათო პროდუქტებით მოსახლეობის მომარაგების გაუმჯობესების ამოცანის გადაწყვეტას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი გულითადად ულოცავს მიღწეულ წარმატებებს საქართველოს კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობების მუშებს, მეურნეობათა ხელმძღვანელებსა და სპეციალისტებს, სასოფლო-სამეურნეო, დამამზადებელი და სატრანსპორტო ორგანიზაციების, სამრეწველო საწარმოებისა და სას წავლებლების კოლექტივებს, პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ მუშაკებს, რესპუბლიკის ყველა მშრომელს.

გამოვთქვამთ მტკიცე რწმენას, რომ რესპუბლიკის მშრომელები კვლავაც ჩინებულ შედეგებს მიაღწევენ ჩაის, ციტრუსის, ყურძნის წარმოებაში და საერთო-საკავშირო შრომის დანაწილებაში აამაღლებენ საქართველოს სს რესპუბლიკის, როგორც სამხრეთული და სუბტროპიკული კულტურების მწარმოებლის როლს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი საქართველოს სს რესპუბლიკის მშრომელებს უსურვებს სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებაში ახალი შრომითი წარმატებებით აღნიშნონ ხუთწლედის დამამთავრებელი წელი.

**ლ. ბრეჟნევი,**

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება

# ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების 110-ე წლისთავის შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

26408

**ახლოვდება** ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების 110-ე წლისთავი. მეცნიერული აზროვნების ბუმბერაზმა და ჭეშმარიტად სახალხო ბელადმა, მგზნებარე რევოლუციონერმა, კომუნისტური პარტიისა და მსოფლიოს პირველი სოციალისტური სახელმწიფოს შემქმნელმა, ლენინმა მთელი თავისი შესანიშნავი, გმირული სიცოცხლე უძღვნა დიდსა და კეთილშობილურ საქმეს, — პროლეტარიატისა და მთელი ჩაგრული მასების სოციალური განთავისუფლებისათვის, მშრომელი ხალხის ბედნიერებისათვის ბრძოლას.

გამოვიდა რა კლასობრივი ბრძოლის მსოფლიო ასპარეზზე, როგორც მარქსისა და ენგელსის ერთგული და მტკიცე მიმდევარი, ლენინმა ყოველმხრივ განავითარა მათი რევოლუციური მოძღვრება. მეცნიერული განჭვრეტის უბადლო ნიჭის, მიმდინარე მოვლენებისა და ამბების დედაარსში ულრმესი წვდომის, ახალი ისტორიული პირობების ანალიზისადმი დიალექტიკურ-მატერიალისტური მეთოდის შემოქმედებითი მისადაგების მეოხებით მან პრინციპულად დიდმნიშვნელოვანი დებულებებით გაამდიდრა მარქსიზმის ყველა შემადგენელი ნაწილი, დასახა მისი განვითარების ახალი ეტაპი.

ყველა ქვეყნის რევოლუციონერთა სწორუპოვარი იდეურ-თეორიული და მეთოდოლოგიური იარაღი გახდა ლენინური მოძღვრება იმპერიალიზმის, სოციალისტური რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის, პარტიის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში პროლეტარიატის კლასობრივი მოკავშირეების, სოციალური და ეროვნული განთავისუფლების განუყრელი კავშირის, აგრეთვე სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების შესახებ. დიდი მნიშვნელობა აქვს ლენინის იდეებს სოციალისტური სამშობლოს დაცვის შესახებ. ლენინის თეორიული შემოქმედების გვირგვინი გახდა მეცნიერება, რომელიც მან შექმნა სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის გზების თაობაზე.

გენიალური თეორეტიკოსი, მსოფლიო პროლეტარიატის უდიდესი სტრატეგი და ტაქტიკოსი, ლენინი ზედმიწევნით იყო დაუფლებული რევოლუციური ბრძოლისა და კომუნისტური აღმშენებლობის ხელოვნებას.

**ლენინს, ბოლშევიკების პარტიას წილად ხვდათ დიდი მისია — მოემზადებინათ და სათავეში ჩასდგომოდნენ ისტორიაში პირველ ძლევამოსილ სოციალისტურ რევოლუციას, შეერწყათ მეცნიერული სოციალიზმის თეორია ხალხის მასების უფართოეს პრაქტიკასთან.**

მილიონობით ჩაგრულისა და ექსპლოატირებულისათვის, ყველა მშრომელისათვის, ლენინიზმი გახდა სამყაროს სოციალური განახლების სიმბოლო, ჩვენი ეპოქის რევოლუციური დროშა. ლენინის სახელთან, მის მოძღვრებასთან არის დაკავშირებული XX საუკუნის ყველა უთვალსაჩინოესი რევოლუციური მოვლენა. არ არის და ვერ იქნება მარქსიზმი იმ სიახლის გარეშე, რომელიც მის განვითარებას შემატა ლენინმა. **ლენინიზმი — ეს არის თანამედროვე ეპოქის მარქსიზმი, საერთაშორისო მუშათა კლასის ერთიანი, მთლიანი, განუწყვეტლივ განვითარებადი მოძღვრება.**

ლენინიზმის წარუვალი მნიშვნელობა ის არის, რომ იგი ღრმად და ზუსტად გამოხატავს მუშათა კლასის, ყველა მშრომელის ინტერესებს, მსოფლიო სოციალური პროგრესის მოთხოვნილებებს, შესაძლებლობას გვაძლევს სწორი პასუხი გავცეთ თანამედროვეობის საჭირბოროტო, ცხოვრებისეულ საკითხებს, გვასწავლის მომწიფებული პრობლემების გაბედულ, შემოქმედებითს გადაჭრას, გვაიარაღებს საზოგადოებრივი განვითარების პერსპექტივების მეცნიერული გაგებით. ლენინის უმდიდრესი იდეური მემკვიდრეობა, მისი მოძღვრების რევოლუციურ-კრიტიკული სულისკვეთება, თანამიმდევრულობა და

# საქართველოს კომკავშირს — ლენინის ორდენი

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი ედუარდ შევარდნაძე ლენინის ორდენს ამაგრებს საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციის დროშაზე.



სიმტკიცე ოპორტუნისტული დამახინჯებებისაგან მარქსიზმის ძირეული პრინციპების დაცვაში, მთელი მისი სიცოცხლე რევოლუციური აზროვნებისა და რევოლუციური მოქმედების უშრეტი წყაროა თანამედროვე საერთაშორისო კომუნისტური, მუშათა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის.

**ლენინის უდიდესი ისტორიული ღვაწლი გახდა მის მიერ ახალი ტიპის პროლეტარული პარტიის შექმნა, რომელიც მეცნიერული თეორიისა და რევოლუციური პრაქტიკის განუყრელი ერთიანობის ცოცხალი განსახიერება, სოციალისტური რევოლუციისა და ახალი საზოგადოების მშენებლობის სულისჩამდგმელი და ბელადია.**

ადგას რა ლენინის მიერ ნაჩვენებ გზას, საბჭოთა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით წარმატებით განახორციელა ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია, კულტურული რევოლუცია, მისცა მთელ მსოფლიოს ეროვნული საკითხის სამართლიანი გადაწყვეტის ნიმუში. ჩვენი სამშობლო უმოკლეს ვადაში მძლავრ სოციალისტურ სახელმწიფოდ გადაიქცა. საბჭოთა ადამიანებმა დაიცვეს ოქტომბრის მონაპოვარნი შინაური კონტრრევოლუციის და ინტერვენციის წინააღმდეგ ბრძოლაში. მთელი კაცობრიობის ბედზე უდიდესი გამარევოლუციურებელი გავლენა მოახდინა საბჭოთა ხალხის გამარჯვებამ ფაშიზმზე დიდი სამამულო ომის წლებში.

**ლენინური იდეების განსახორციელებლად საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის საქმიანობის მსოფლიო-ისტორიული შედეგი გახდა განვითარებული სოციალისტური საზოგადოების აშენება, რომელშიც სულ უფრო სრულად ვლინდება ახალი წყობილების აღმშენებლობითი ძალები, მისი ჭეშმარიტად ჰუმანური არსი.**

ყველა ჩვენი გამარჯვების მთავარი წყაროა პარტიისა და ხალხის ურღვევი ერთიანობა, ლენინის სიტყვებით რომ ვთქვათ, კომუნისტთა უნარი დაუახლოვდნენ და გარკვეულწილად შეერწყან მშრომელთა უფართოეს მასას, აამაღლონ მათი ენერგია, გმირობა და ენთუზიაზმი, წარმართონ რევოლუციურად დაძაბული მეცადინეობა უმნიშვნელოვანესი მორიგი ამოცანების გადასაწყვეტად. ასე ლენინურად მოქმედებდა პარტია სოციალიზმის ასაშენებლად და დასაცავად ერთ ქვეყანაში, როცა მტრულ კაპიტალისტურ გარემოცვაში იყო. ასე მოქმედებდა იგი მსოფლიოს პირველი განვითარებული სოციალიზმის საზოგადოების შესაქმნელად. ასე იმოქმედებს იგი კვლავაც.

**ისტორიის მიმდინარეობას, ურმეს გარდაქმნებს, რომლებმაც ძირეულად უცვალა სახე თანამედროვე სამყაროს, ლენინური იდეების სიმართლისა და უძლევი ძალის ახალი დამამტკიცებელი საბუთები მოაქვს.**

ლენინიზმის დროშით სოციალისტურმა რევოლუციებმა გაიმარჯვეს ევროპის, აზიისა და ლათინური ამერიკის მთელ რიგ ქვეყნებში. მარქსიზმ-ლენინიზმის, სოციალისტური ინტერნაციონალიზმის საფუძველზე შეკავშირებული მსოფლიო სოციალისტური თანამეგობრობა სოციალური პროგრესის ავანგარდშია და წარმოადგენს ყველაზე დინამიკურ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ძალას, მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების დასაყრდენს. ცხოვრებამ დაადასტურა ლენინის განჭვრეტა სოციალიზმის ჩამოყალიბებისა და განვითარების ზოგად კანონზომიერებათა საფუძველზე სხვადასხვა ქვეყანაში სოციალისტური მშენებლობის ფორმებისა და მეთოდების მრავალფეროვნების შესახებ.

სოციალისტური თანამეგობრობის ყოველი ქვეყნის აყვავება განუყრელად არის დაკავშირებული მათი იდეურ-პოლიტიკური ერთიანობის განმტკიცებასთან, პოლიტიკის, ეკონომიკის, სოციალური ცხოვრების მზარდ ერთიანობასთან, ყველა დარგში ნაყოფიერი, თანასწორუფლებიანი თანამშრომლობის განვითარებასთან. ასეთი თანამშრომლობის მაგალითია მოძმე ქვეყნების ურთიერთმოქმედება ინტერნაციონალური სოლიდარობის ლენინურ პრინციპებზე დაფუძნებულ ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციისა და ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ფარგლებში.

თანამედროვეობის ყველაზე გავლენიან პოლიტიკურ ძალად გადაიქცა საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობა, რომლის სათავეებთანაც ლენინი იდგა. ლენინის მიერ შემუშავებული იდეურ-თეორიული, პოლიტიკური და ორგანიზაციული პრინციპები დღესაც უდევს საფუძვლად მუშათა კლასის რევოლუციური პარტიების საქმიანობას, ეხმარება მათ ბრძოლასა და გამარჯვებაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას მაღლა უჭირავს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ლენინური დროშა, იგი იღვწის საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის შეკავშირებისათვის, მთელი ანტიიმპერიალისტური და მშვიდობისმოყვარული ძალების მოქმედების ერთიანობისათვის.

კაპიტალიზმის საერთო კრიზისის გაღრმავების პირობებში, რომელიც ბურჟუაზიული საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროში ვლინდება, სულ უფრო მწვავდება და მძაფრდება მუშათა კლასის, მშრომელთა ბრძოლა იმპერიალისტური მონოპოლიების საყოველთაო ბატონობის წინააღმდეგ. წარმოების საზოგადოებრივ ხასიათსა და მითვისების კერძოკაპიტალისტურ ფორმას შორის არსებული შეურიგებელი წინააღმდეგობა, მწვავე სოციალური კონფლიქტები, უმუშევრობისა და ინფლაციის მუდმივი ზრდა, პოლიტიკური და სულიერი კრიზისი, ეკონომიკის მილიტარიზაცია, საშიში გამალებული შეიარაღება — ყოველივე ეს თვალნათლივ მოწმობს უმომავლო კაპიტალისტური საზოგადოების უკანასკნელი სტადიის — იმპერიალიზმის ლენინისეულ შეფასებათა სამართლიანობას.

ლენინის იდეების, დიდი ოქტომბრის უშუალო ზემოქმედებით, მსოფლიო სოციალიზმის განვითარების შთამაგონებელი მაგალითის გავლენით თვალსაჩინო გამარჯვებები მოიპოვა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ. ბევრი ახალგაზრდა სახელმწიფო, რომლებიც ესწრაფვიან ჩამორჩენილობის ლიკვიდაციას, ეკონომიკური დამოუკიდებლობის მიღწევასა და სამართლიანი საზოგადოების აშენებას, მიმართავს მარქსიზმ-ლენინიზმს — რეალური სოციალიზმის გამოცდილებას.

**საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, მოძმე პარტიები ღრმად აანალიზებენ საზოგადოებრივი ცხოვრების პროცესებს და შემოქმედებითად ავითარებენ მარქსიზმ-ლენინიზმს.** უკანასკნელ წლებში მარქსიზმ-ლენინიზმის საგანძურს შეემატა მოძღვრება განვითარებული სოციალიზმის შესახებ, რომელმაც არსებითად გაამდიდრა და დააზუსტა ჩვენი წარმოდგენა ახალი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის ჩამოყალიბების კანონზომიერებათა შესახებ, კომუნიზმის აშენების გზების შესახებ.

უდიდესი თეორიული და პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს იმ დასკვნებს, რომ განვითარებული სოციალიზმის შექმნის პროცესში მუშათა კლასის პარტია ამასთანავე მთელი ხალხის ავანგარდი პარტია ხდება, რომ პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფო საერთო-სახალხო სახელმწიფოდ გადაიზრდება. ასევე უაღრესად მნიშვნელოვანია დებულება საბჭოთა ხალხის როგორც ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობის შესახებ. რევოლუციური თეორიის უთვალსაჩინოესი შენაძენია სკკპ XXIII, XXIV და XXV ყრილობების გადაწყვეტილებები, პარტიის საპროგრამო დოკუმენტები, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის, პარტიის სხვა ხელმძღვანელთა შრომები.

პარტიამ ღრმა მარქსისტულ-ლენინური ანალიზის საფუძველზე შეიმუშავა განვითარებული სოციალიზმის მოთხოვნილებათა შესაბამისი ეკონომიკური სტრატეგია, რომლის უმაღლესი მიზანია ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის განუხრელი ამაღლება. მან წამოაყენა დებულება მეურნეობის სოციალისტური სისტემის უპირატესობებთან მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მიღწევათა შერწყმის საჭიროების შესახებ, და-


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

დროშა

№ 1 (517). იანვარი, 1980 წ.

ჟურნალი გამოდის 1923 წლიდან

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა



© „დროშა“, 1980 წ.

მთავარი რედაქტორი

ხუტა ბერულავა

სარედაქციო კოლეგია:

გულნარა ბახტაძე, თენგიზ გოგოლაძე (პ/მგ. მდივანი), ოთარ დემეტრაშვილი, გურამ დოჩანაშვილი, სერგო დურმიშიძე, რევაზ მარგიანი, დინარა ნოდია (მხატვარი-რედაქტორი), ლადო სულაბერიძე, ილია ტაბაღუა, უჩა ჯაფარიძე.

სახა კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის, მეურნეობრიობის ინტენსიურ მეთოდებზე გადასვლის, წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლების გზები.

საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ ლენინური კოოპერაციული გეგმის იდეების შემოქმედებითი განვითარების მეოხებით შეიმუშავა და თანამიმდევრულად ახორციელებს კურსს, რომელიც უზრუნველყოფს სასოფლო-სამეურნეო წარმოების განუწყვეტელ ზრდას საწარმოო ძალების სწრაფი განვითარებისა და სოციალისტურ სოფლის მეურნეობაში საწარმოო ურთიერთობის მუდმივი სრულყოფის საფუძველზე, მისი სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის განვითარებას, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის კულტურის ამაღლებას.

ეკონომიკურ სტრატეგიასთან მჭიდრო კავშირით არის განსაზღვრული მიზნები და ამოცანები თანამედროვე სოციალური პოლიტიკისა, რომლის მეოხებითაც კიდევ უფრო უნდა გაძლიერდეს საბჭოთა საზოგადოების ერთგვაროვნება მუშათა კლასის წამყვანი როლის პირობებში, თანდათან მოისპოს არსებითი განსხვავება ქალაქსა და სოფელს შორის, გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის, განუხრელად დაახლოვდნენ ქვეყნის ყველა ერები და ეროვნებანი, განმტკიცდეს მათი ძმური მეგობრობა და ერთიანობა.

წარმატებით ხორციელდება სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი განვითარებისა და გაღრმავების, საბჭოთა სახელმწიფოებრიობის, განვითარებული სოციალიზმის მთელი პოლიტიკური სისტემის სრულყოფის პროგრამა. სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია — მსოფლიოს პირველი საერთო-სახალხო სახელმწიფოს ძირითადი კანონი — წარმოადგენს შემოქმედებითი მარქსიზმ-ლენინიზმის უთვალსაჩინოეს დოკუმენტს, სახალხო ხელისუფლების შესახებ ლენინური იდეების განვითარებას და კონკრეტულ ხორცშესხმას.

არაფერია იმაზე უფრო უაზრო, ვიდრე ჩვენი მოშურნეების ცდები წარმოსახონ სოციალიზმი საზოგადოებად, რომელიც თითქოს ახშობს ადამიანთა ინიციატივას, უფლებებსა და თავისუფლებებს. უფართოესი მასების ნიადაგ მზარდი პოლიტიკური და შრომითი აქტიურობა, მათი მონაწილეობა ყველა საზოგადოებრივი და სახელმწიფო საქმის განხილვასა და გადაწყვეტაში ადასტურებს იმ ლენინური დასკვნის სისწორეს, რომ „ცოცხალი, შემოქმედებითი სოციალიზმი თვით ხალხის მასების ქმნილებაა“.

**პარტიისა და ხალხის მთელი საქმიანობა მიზნად ისახავს განვითარებული სოციალისტური საზოგადოების შემდგომ განმტკიცებას, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნას, საზოგადოებრივი ურთიერთობის სრულყოფას, მოქალაქეთა აღზრდას კომუნისტური იდეურობის სულისკვეთებით.** პარტიის მრავალმხრივი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის, მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და სახალხო ინტელიგენციის თავდადებული შრომის შედეგად ჩვენი სამშობლო ამ ბოლო თხუთმეტი წლის მანძილზე საგრძნობლად დაწინაურდა კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე. უთვალსაჩინოესი წარმატებანია მიღწეული ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში. შექმნილია მსოფლიოში უდიდესი სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსი. მნიშვნელოვნად გაიზარდა მრეწველობის პროდუქციის მოცულობა, გაძლიერდა სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. განმტკიცდა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა. წარმატებით სრულდება სოციალური პროგრამა, უმჯობესდება საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობა. რეალური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით დაახლოებით ერთიორად გაიზარდა, მოსახლეობის თითქმის ორი მესამედი გადავიდა ახალ ბინებში და გაიუმჯობესა საბინაო პირობები.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, ლენინის ანდერძისამებრ, კრიტიკულად აფასებს მიღწეულს, წარმართავს თავის მეცადინეობას მომწიფებული პრობლემების გადასაჭრელად, გაბედულად აშკარავებს ნაკლოვანებებს, რაზმავს კომუნისტებს, მშრომელებს, რათა რაც შეიძლება ეფექტიანად გამოიყენონ განვითარებული სოციალიზმის ყველა შესაძლებლობა, მზრუნველად, ნამდვილად ყაირათიანად ეკიდებოდნენ ყოველივეს, რაც ხალხის გარჯით შექმნილა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებში, ამ პლენუმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ წარმოთქმულ სიტყვაში განსაზღვრულია საბჭოთა ეკონომიკის შემდგომი აღმავლობის კარდინალური პრობლემები, წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის არსებითი ამაღლების, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების კონკრეტული გზები.

პარტიის ყურადღების ცენტრშია საკვანძო პრობლემები: სათბობის, ნედლეულის ბაზის, ენერგეტიკის, მეტალურგიის, მანქანათმშენებლობისა და ქიმიური მრეწველობის განვითარება, ტრანსპორტის, კაპიტალური მშენებლობის საქმის მდგომარეობის არსებითი და ფუნდამენტური გაუმჯობესება, სოფლის მეურნეობის გარდაქცევა ეკონომიკის მაღალგანვითარებულ სექტორად, სურსათის, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების ზრდა. დიდი მუშაობაა გაჩაღებული ეკონომიკის დაგეგმვისა და მართვის, მთელი სამეურნეო მექანიზმის სრულყოფისათვის. პარტია ყველა პარტიული, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციისაგან, სამეურნეო ორგანოსაგან მოითხოვს კიდევ უფრო განამტკიცონ დისციპლინა და წესრიგი, აწარმოონ გულმოდგინე, ყოველდღიური ორგანიზატორული და აღმზრდელობითი მუშაობა, ინიციატივიანად და პასუხისმგებლობით ეკიდებოდნენ საქმეს, განუხრელად ასრულებდნენ მიღებულ გადაწყვეტილებებს.

მთელ თავის მუშაობაში პარტია ეყრდნობა ქვეყნის მძლავრ მეცნიერულ პოტენციალს, ნიადაგ ზრუნავს ხალხის განათლების, საზოგადოების სულიერი სიმდიდრის ზრდისათვის, მრავალეროვნული სოციალისტური კულტურის ღირებულებათა გამრავლებისათვის, რომელიც პარტიულობისა და ხალხურობის ლენინური პრინციპების საფუძველზე ვითარდება. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია უპირველეს ყურადღებას უთმობს მშრომელთა კომუნისტური შეგნების განვითარებას, იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებას, პროპაგანდის მეცნიერული დონისა და ეფექტიანობის ამაღლებას, მის სრულყოფას, ცხოვრებასთან კავშირის განმტკიცებას. პარტია საზოგადოების ყველა წევრს ზრდის მარქსიზმ-ლენინიზმის, საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, შრომისა და საზოგადოებრივი საკუთრებისადმი კომუნისტური დამოკიდებულების, პოლიტიკური სიფხიზლის, ბურჟუაზიული იდეოლოგიისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით.

**რა საამაყოა, რა გულგასახარელი, როცა წელგამართული, მრავალი სახელოვანი ამბით, შესანიშნავი მიღწევებით ხვდები ახალ წელს! ჩვენმა ხალხმა, მშრომელი კაცის მოუღლელმა მარჯვენამ ყველაფერი გააკეთა, რათა პირნათლად შეგებებოდა ახალ წელს.**

**1980 წელი, ვიცი, სიხარულის მომტანი წელია.**

**მხურვალედ ვულოცავ ახალ 1980 წელს საქართველოს მშრომელებს. გამარჯვებასა და დიდ სიხარულს ვუსურვებ ჩემს საყვარელ რესპუბლიკას, ჩემს ხალხს.**

**ავლიპ ზურაბაშვილი,**
აკადემიკოსი.



**1979 წელმა ჩვენს ხალხს მოუტანა მატერიალური დოვლათი და სიუხვე, სულიერი აღზევება, რამაც ქართველ ხალხს განუმტკიცა რწმენა, გაუმაგრა მკლავი, გაუნათა გონება და გაუწმინდა სული.**

**გამოვთქვამ სრულ რწმენას, რომ ქართველი ხალხი თავისი იდეალებით, მაღალი მრწამსით, ნიჭიერებითა და შრომითი მამაცობით, ერთგულებითა და თავდადებით კვლავაც განაცვიფრებს მსოფლიოს ახალი აღმოჩენებითა და მიღწევებით.**

**ვუსურვებ ქართველ ხალხს ჯანმრთელობას, გამრავლებას, მიღწევებს შრომაში, გარჯაში.**

**ირაკლი ტატიშვილი,**
აკადემიკოსი.



განუხრელად სრულდება პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმები და პარტიული ხელმძღვანელობის ლენინური პრინციპები, თანამიმდევრულად ვითარდება შინაპარტიული დემოკრატია, კრიტიკა და თვითკრიტიკა, მაღლდება მომთხოვნელობა პარტიის თითოეული წევრისადმი. რაც უფრო იზრდება აღმშენებლობითი საქმიანობის მასშტაბი და რთულდება მისი ამოცანები, რაც უფრო მეტად ებმებიან შეგნებულ ისტორიულ შემოქმედებაში ხალხის ფართო მასები, მით უფრო ძლიერდება კომუნისტური პარტიის — საზოგადოების ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალის როლი. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი წმინდად ინახავენ და ამრავლებენ ლენინურ რევოლუციურ, საბრძოლო და შრომით ტრადიციებს.

**დიდი ლენინის იდეების ერთგულებით არის გამსჭვალული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მთელი საერთაშორისო საქმიანობა.** ლენინის მიერ წამოყენებული და მეცნიერულად დასაბუთებული პროლეტარული, სოციალისტური ინტერნაციონალიზმის, მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპები ხორცს ისხამს საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკაში. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო ყოველ ღონეს ხმარობდნენ და ახლაც ყველაფერს ღონობენ, რათა განამტკიცონ სოციალისტური ქვეყნების ერთიანობა და შეკავშირება, გაუწიონ დახმარება და მხარდაჭერა იმპერიალიზმის, ნეოკოლონიალიზმისა და რასიზმის წინააღმდეგ მებრძოლ ხალხებს, განამტკიცონ მშვიდობა და საერთაშორისო უშიშროება, მიაღწიონ გამალებული შეიარაღების შეწყვეტასა და განიარაღებას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ მშვიდობის პროგრამა წამოაყენა და თანამიმდევრულად იბრძვის მისი განხორციელებისათვის. სოციალისტურ და კაპიტალისტურ სახელმწიფოთა შორის მთელ რიგ ხელშეკრულებათა დადებას და ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის განვითარებას, სრულიად ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის წარმატებით მოწყობას შედეგად მოჰყვა საერთაშორისო დაძაბულობის შენელების გაღრმავება. მსოფლიოს პოლიტიკური კლიმატის არსებითს გაჯანსაღებას შეუწყობს ხელს საბჭოთა კავშირ-ამერიკის სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის მე-2 ხელშეკრულების ძალამოსილად გამოცხადება. შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირების და ევროპის მშვიდობისა და უშიშროების ნამდვილი განმტკიცების რეალურ პერსპექტივებს სახავს ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა კონსტრუქციული წინადადებები, საბჭოთა კავშირის ახალი სამშვიდობო ინიციატივები.

სსრ კავშირი, სოციალისტური ქვეყნები, პლანეტის მთელი მშვიდობისმოყვარე ძალები მტკიცედ იბრძვიან, რათა დაძაბულობის შენელება კვლავაც იყოს საერთაშორისო ურთიერთობის წამყვანი ტენდენცია, რათა პოლიტიკური დაძაბულობის შენელებას შეემატოს სამხედრო დაძაბულობის შენელება.

მსოფლიოში მიმდინარე პოზიტიური ცვლილებები იმპერიალისტური რეაქციის გააფთრებულ წინააღმდეგობას აწყდება, მილიტარისტული და რეაქციული წრეები აქტიურებენ თავიანთ გამოსვლებს დაძაბულობის შენელების წინააღმდეგ, ისწრაფვიან თავიანთ სასარგებლოდ შეცვალონ ძალების თანაფარდობა, აძლიერებენ გამალებულ შეიარაღებას, ერევიან სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში, ცდილობენ ჩაახშონ ხალხთა განმათავისუფლებელი მოძრაობა.

იმპერიალიზმის უშუალო დამქაშად გვევლინება ჩინეთის ხელმძღვანელობა, რომელიც მშვიდობისა და სოციალიზმის საქმისადმი მტრულ დიდმპყრობლურ, ჰეგემონისტურ პოლიტიკას ახორციელებს. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ააშკარავებს ამ პოლიტიკის რეაქციულ არსს, ცხადყოფს, რომ მაოიზმის იდეოლოგია და პრაქტიკა შეუთავსებელია მეცნიერულ სოციალიზმთან, და ამასთანავე განუხრელად უჭერს მხარს სსრ კავშირსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის სახელმწიფოებრივი ურთიერთობის ნორმალიზაციას, ნამდვილ კეთილმეზობლობასა და ურთიერთხელსაყრელ თანამშრომლობას.

მარქსისტულ-ლენინური იდეების მიმზიდველი ძალა, რეალური სოციალიზმის ავტორიტეტისა და გავლენის ზრდა კლასობრივი მტრის გააფთრებულ წინააღმდეგობას იწვევს. ბურჟუაზია და მისი იდეოლოგები, ნაირ-ნაირი ოპორტუნისტები და რევიზიონისტები აძლიერებენ ბრძოლას კომუნიზმის წინააღმდეგ, ცდილობენ გააყალბონ მარქსიზმ-ლენინიზმი და გამოაცალონ მას რევოლუციური არსი, გამოძებნონ „წინააღმდეგობანი“ მეცნიერული სოციალიზმის თეორიასა და სოციალისტურ ქვეყნებში მისი განხორციელების პრაქტიკას შორის. ისინი ისწრაფვიან დააკნინონ მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა, სოციალიზმის წარმატებანი, სახელი გაუტეხონ სოციალისტური ცხოვრების წესს. იმპერიალიზმისა და მისი დამქაშების ხრიკებს კომუნისტები უპასუხებენ თავიანთი რიგების ინტერნაციონალური შეკავშირებით, თანამიმდევრული ბრძოლით ბურჟუაზიული იდეოლოგიის, რევიზიონიზმის, დოგმატიზმის, ნაციონალიზმის წინააღმდეგ, მარქსიზმ-ლენინიზმის სიწმინდისა და შემოქმედებითი განვითარებისათვის.

საბჭოთა ადამიანები ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავს მაღალი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში ხვდებიან. მოსკოვისა და ლენინგრადის წარმოების მოწინავეთა ინიციატივით ქვეყანაში გაჩაღდა პატრიოტული მოძრაობა, რათა პირადი ხუთწლიანი დავალებანი 1980 წლის 22 აპრილისათვის შეასრულონ.

**პარტიის ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და მისი მეთაურის — ერთგული ლენინელის, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გარშემო მჭიდროდ შეკავშირებული საბჭოთა ხალხი მხურვალედ იწონებს და ერთსულოვნად უჭერს მხარს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გენერალურ კურსს, მის საშინაო და საგარეო პოლიტიკას. თავისი ნაცადი ავანგარდის ხელმძღვანელობით ჩვენი ქვეყანა მტკიცედ ადგას კომუნიზმის ლენინურ გზას.**

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა აღინიშნოს ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების 110-ე წლისთავი როგორც დიდი საყოველთაო-სახალხო დღესასწაული. მოეწყოს ქალაქ მოსკოვში, რესპუბლიკურ, სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, საქალაქო და რაიონულ ცენტრებში, მშრომელთა კოლექტივებში, ჯარის ნაწილებსა და ქვეგანაყოფებში საზეიმო კრებები.

მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების პოლიტორგანოებს წინადადება მიეცათ გააჩაღონ აქტიური პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა იუბილეს მოსამზადებლად, მთავარი



**1979 წელი სამართლიანად ჩაიწერება ოქროს ასოებით საბჭოთა საქართველოს ისტორიაში. მოსკოვიდან, კრემლიდან მივიღეთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის, ჩვენი ძვირფასი ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის წერილი, რომლითაც მან გულითადად მიულოცა საქართველოს მშრომელებს ახალი შესანიშნავი შრომითი გამარჯვება.**

**ჯანმრთელობასა და შრომაში, სწავლაში, შემოქმედებაში ახალ წარმატებებს, ცხოვრებაში ბედნიერებას გისურვებთ თქვენ, ყველას, ძვირფასო ამხანაგებო!**

**დაე სიხარული და ბედნიერება სუფევდეს ყოველ ოჯახში! დაე ურყევი იყოს ქვეყნად მშვიდობა!**

**ევგენი ხარაძე,**

**საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი.**



გულითადად მივესალმები და ვულოცავ ახალ 1980 წელს ჟურნალ „დროშის“ მკითხველებს, რომელთა შორის მრავლად არიან ჩემი პატივცემული კოლეგები: ქართველი მასწავლებლები, სკოლისა და სახალხო განათლების დარგის სხვა მუშაკები.

მე იმის დიდი სურვილი მაქვს, რომ თითოეულმა თქვენთაგანმა და ჩვენ ყველამ ერთად ეს ახალი წელი ახალი შინაარსით გავამდიდროთ, კიდევ უფრო საინტერესო და მიმზიდველი

ყურადღება დაუთმონ პარტიის XXV ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებების, კომუნისტური მშენებლობის აქტუალური ამოცანების შესრულებას, ჩვენი სამშობლოს ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების ყოველმხრივ განმტკიცებას. ლენინური გამბედაობით და პრინციპულად დააყენონ და გადაწყვიტონ ჩვენი განვითარების მომწიფებული პრობლემები, უზრუნველყონ მშრომელთა ფართო მონაწილეობა არსებულ ნაკლოვანებათა დაძლევაში.

სახელოვანი წლისთავისათვის სამზადისმა და დღესასწაულობამ ხელი უნდა შეუწყოს ხალხის შრომითი და საზოგადოებრივი აქტიურობის შემდგომ განვითარებას, ღონისძიებათა მობილიზაციას 1980 წლის გეგმის შესასრულებლად, მეთერთმეტე ხუთწლედის წარმატებული სტარტის კარგი საფუძვლის შექმნას. პარტიული, სახელმწიფო და სამეურნეო ორგანოების, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში უნდა იყოს სახალხო მეურნეობის ყველა რგოლში მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლების, შრომის ნაყოფიერების ზრდის, წარმოების ინტენსიფიკაციის დაჩქარების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, ეკონომიკის დაგეგმვისა და მართვის სრულყოფის, ორგანიზებულობისა და დისციპლინის განმტკიცების, დაკისრებული საქმისათვის პერსონალური პასუხისმგებლობის გაძლიერების საკითხები.

დადგენილებით დასახულია რეკომენდაცია, რომ 1980 წლის მარტ-აპრილში მოეწყოს ღია პარტიული კრებები დღის წესრიგით — „ვიცხოვროთ, ვიმუშაოთ და ვიბრძოლოთ ლენინურად, კომუნისტურად", რომლებზეც უნდა განიხილონ პარტიულ ორგანიზაციათა ამოცანები სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებების, ამ დადგენილების, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მითითებების შესაბამისად.

გაჩაღდეს მასობრივი სოციალისტური შეჯიბრება ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის, მეათე ხუთწლედის წარმატებით დამთავრებისათვის, დაწესდეს საპატიო ლენინური სიგელი იმ შრომითი კოლექტივებისა და წარმოების მოწინავეების დასაჯილდოებლად, რომლებიც ხუთწლიან დავალებას იუბილესათვის შეასრულებენ.

მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა, საკავშირო პროფსაბჭომ, სამინისტროებმა და უწყებებმა გაითვალისწინონ შეჯიბრების გამარჯვებულთათვის საჭირო რაოდენობის საგზურების გამოყოფა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენისა და სამახსოვრო ლენინური ადგილების გასაცნობად.

პარტიული და კომკავშირული პოლიტიკური სწავლების, ეკონომიკური განათლების სისტემაში, სასწავლო დაწესებულებებში, მთელ იდეურ აღმზრდელობითს მუშაობაში მთავარი ყურადღება დაუთმონ მარქსის, ენგელსისა და ლენინის შრომების, სკკპ ისტორიული გამოცდილების ღრმა შესწავლას კონკრეტული ეკონომიკური და პოლიტიკური ამოცანების გადაწყვეტასთან განუყრელი კავშირით, ყოველმხრივ გააშუქონ ლენინური იდეების საერთაშორისო მნიშვნელობა, აქტუალობა, მძლეთამძლეობა. ფართოდ ასახონ პარტიის რევოლუციურ-გარდამქმნელი საქმიანობა ლენინის ანდერძის განხორციელების, მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების შემოქმედებითი განვითარებისათვის, ყოველი ღონისძიებით გაუწიონ პროპაგანდა განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მიღწევებს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკას. დამაჯერებლად განმარტონ სოციალისტური თანამეგობრობის ხალხთა ისტორიული მონაპოვარნი, სოციალიზმის ძირეული უპირატესობანი კაპიტალიზმთან შედარებით.

უზრუნველყონ, რომ დაიხვეწოს იდეურ-აღმზრდელობითი საქმიანობა „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად. განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ მშრომელთა აღზრდას ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მაგალითებით, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი ტრადიციებით.

მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურმა კომიტეტებმა, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტმა, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტებმა, სრულიად საკავშირო საზოგადოება „ცოდნის" გამგეობამ გაშალონ ლექცია-მოხსენებების კითხვა, მოაწყონ მოსკოვში, მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებში, სამხარეო და საოლქო ცენტრებში საზოგადოებრივ-პოლიტიკური კითხვა თემაზე — „ლენინის საქმე ცოცხლობს და იმარჯვებს".

პარტიულმა, პროფკავშირულმა, კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, კულტურის ორგანოებმა გამართონ შეხვედრები რევოლუციის ვეტერანებთან, ომისა და შრომის გმირებთან, მოაწყონ ლექციები და ექსკურსიები ლენინურ ადგილებში, სპექტაკლების, კინოფილმებისა და ტელეფილმების, მუსიკის ფესტივალები, სამხატვრო გამოფენები, მკითხველთა კონფერენციები, რომლებიც ვ. ი. ლენინს, კომუნისტურ პარტიას მიეძღვნება.

განაახლონ სახელმწიფო და სახალხო მუზეუმები, ლენინის ოთახების ექსპოზიციები, მოაწყონ ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი წიგნისა და ფოტოსურათების გამოფენები, ბიბლიოთეკათა, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა თვალსაჩინო აგიტაციის დათვალიერება-კონკურსები.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტმა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიამ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად მოაწყონ მოსკოვში 1980 წლის აპრილში სამეცნიერო კონფერენცია — „მარქსიზმ-ლენინიზმი და თანამედროვე ეპოქა".

ჟურნალ-გაზეთების რედაქციებმა, საკდესმა, სსრ კავშირის სახტელერადიომ ფართოდ გააშუქონ ვ. ი. ლენინის იუბილესათვის სამზადისი და დღესასწაულობა.

◆—◆

სკკპ ცენტრალური კომიტეტი კომუნისტებს, კომკავშირელებს, ყველა საბჭოთა ადამიანს მოუწოდებს ვლადიმერ ილიას ძე ლენინის იუბილეს შეხვდნენ კომუნიზმისათვის ბრძოლის ახალი წარმატებებით, გადააქციონ მეათე ხუთწლედის დამამთავრებელი წელი დამკვრელური ლენინური მუშაობის წლად.

გაუმარჯოს ლენინიზმს — რევოლუციური ბრძოლის, კომუნისტური აღმშენებლობისა და მშვიდობის დროშას!

დაე, საუკუნოდ ცოცხლობდეს დიდი ლენინის სახელი და საქმე!

გაუმარჯოს კომუნიზმის მშენებელ დიდ საბჭოთა ხალხს!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ლენინურ კომუნისტურ პარტიას!

---

გავხადოთ; მოსწავლე ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდის მთელი საქმის შემდგომი სრულყოფის გზით.

ბედნიერ ახალ წელს ვუსურვებ საქართველოს მოსწავლეთა მილიონიან არმიას, მათ მშობლებს და აღმზრდელ მასწავლებლებს.

მრავალს დაესწარით!

**ოთარ ქინქლაძე,**
საქართველოს სსრ განათლების მინისტრი.



საბჭოთა საქართველო ხელდამშვენებული ხვდება ახალ წელს. ჩვენი ცხოვრების მშვიდობიანი დღეები ახალ-ახალი გამარჯვებებისაკენ მოგვიწოდებს. ჩვენ, ხელოვნების მოღვაწენი, ყველა ღონეს ვიხმართ, რათა დიად საბჭოთა ხალხს მისი საკადრისი მხატვრული ნაწარმოებები შევძინოთ, შორს გავუთქვათ სახელი ქართულ კულტურას, ვამრავლოთ ლაურეატი-სპექტაკლები, ანსამბლები, ცალკეული შემსრულებლები; კვლავაც დავულოცოთ სამოქმედო ასპარეზი ახალგაზრდობას, გავზარდოთ და მივცეთ საშუალება შემოქმედებითი ინიციატივის გამოჩენისა.

ვუსურვებ ჩემს ხალხს ბედნიერ 1980 წელს. დაე იგი იყოს უხვი, კეთილი და მშვიდობიანი; მრავალ ახალსახლობას, შრომით გამარჯვებას ვუსურვებ მას.

მრავალჟამიერ!

**ოთარ თაქთაქიშვილი,**
საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი.

# პოეზია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირაკლი აბაშიძე

## შვიდ ათეულში...

შვიდ ათეულში, შვიდ ათეულში —
ჭიდილში, ქარში, ქვეყნის ალმურში,
ჩემს გულს მე ვწმენდდი სულ სიყვარულში,
შური და ბოღმა შიგ არ შევუშვი.

ო, მიწავ ჩემო, ჩემო ქედებო,
ეს გული მარად შენ გმონებია,
მაგრამ იმ თბილ გულს რა შეედრება,
რა თბილი გულიც შენ გქონებია.

პოეტო, შენ რომ ასე გაკაჟდი
და ხარ დღეს უთვლელ ნექტრის მფლობელი,
თუ ხარ ოსტატი, თუ ხარ ვაჟკაცი,
ამ თბილ გულს უთხარ სამადლობელი.

1979. 20 დეკემბერი.

ჯემალ ინჯია

## კლდის ვეფხვი

მიხეილ ხერგიანის ხსოვნას

მანძილი რომ მოკლდება
ცას და მიწას შუა,
მთასვლელი მთას მოკვდება,
განწირული თუა.

დაიღუპა მიხეილ
და ნაგები სვანთა
კოშკები და ციხენი
დგანან ვეფხვის თავთან.

კავკასიის მთებისამ
ვერ უშველა ლოცვამ,
ჩაქოლილი ქვებისგან
ითქმებოდა როცა.

თურმე სიკვდილ-სიცოცხლეს
აკავშირებს თოკი.
ზოგი მოლზე იცოცებს,
ბალში კვდება ზოგი.

ჩვენს მხარეში რა არის
უფსკრულების მეტი,
მაგრამ ისე არავის
არ უმუხთლებს ბედი,

როგორც თავის ქვეყნისთვის
თავდადების მსურველს
და დაეცა ვეფხვიც კლდის,
ვერ ვიხსენით, სულ ვერ.

არვინ იცის თოკები
სად გაწყდება, სადა,
ზოგი აქვე მოვკვდებით,
ზოგს აგვიყვანს ცადა.

ზოგი მთებში ეცემა,
ზოგი ბრძოლის ველზე,
მას თუ ასე ეწერა,
ბრძოლა იყო ესეც,

საქართველოს ძე გმირმა
იკაშკაშოს, რადგან
თავისივე ძეგლი მან
სიცოცხლეში დადგა!

შოთა ნიშნიანიძე

## გალადა იოსებ ჟორდანიას გმირობაზე

**პროფესორმა-მედიკოსმა იოსებ ჟორდანიამ წყალზე დამჯდარ ალმოდებულ თვითმფრინავში თავისი მაშველი რგოლი დაუთმო უცნობ ბავშვიან ქალს და თვითონ კი დაიღუპა.**

I

მკერდშენგრეული ბოინგი მკვდარ ვეშაპივით ტოკავს,
ზღვა. თავზე წაუხურია ,როგორც კეისარს ტოგა.

ჩოჩქოლი, ჯგლეთა, ყვირილი და განწირულთა შიში,
ჯერ კიდევ აუფეთქებელ ნაღმის წაავავს შიშინს.

ისვრის შტურმანი ბრძანებებს... მაშველ რგოლივით ისვრის,
ჟილეტს იცვამენ... ძებნა აქვთ სკამის ნატეხის... ფიცრის...

კარს აწყდებიან ზრიალით... ზღვაც იფოფრება სამტროდ,
ამ ცოდვის ორომტრიალში ძაღლი ვერა სცნობს პატრონს.

და როცა მთლად შეიშალნენ მოსალოდნელი საფრთხით,
ბავშვის ტირილი გაისმა, როგორც ჭყლოპინი ბარტყის.

უბილეთოა გოგონა... და უპირველეს ყოვლის,
არც ჟილეტი აქვს საბრალოს და არც მაშველი რგოლი.

ვიღაცამ რგოლი მოიხსნა... თავი გადადო მსხვერპლად
და იმ წამს შარავანდედი საკუთარ ხელით ეპყრა.

II

„დედაენით“ გაზარდეს, მეგრულ იავნანურით,
ავთანდილის ანდერძით, ცოტნეს ცხენის თქარუნით.

საწყალ ხარის ტირილით, ჩიორას სიბრალულით,
მაგრამ პირველ ყოვლისა ბავშვების სიყვარულით.

ფრთებს ისხამენ ქართული ჯეჯილ-სალამურები,
მგლის ლეკვები ქართული, ქართული ამურები.

III

თქვენ დიდი ერის შვილი ხართ, ო, დიდი ერის, მისის,
ქვეყანამ იცის ამიტომ დიდებულება მისი.

თქვენ დიდი ქვეყნის შვილი ხართ, მაგრამ იცოდეთ ბარემ,
არის პატარა კოლხეთიც — დიდთა რაინდთა მხარე.

მისის, თქვენ უკვე გათხოვდით, თქვენ უკვე გქვიათ დედა,
ბედნიერი ხართ, ძვირფასო, ბედნიერი ხართ მეტად
და ვინც სიცოცხლე გაჩუქათ, თუ გაგონდებათ, ნეტავ?

თქვენ გესიზმრებათ ის კაცი და ვერც ივიწყებთ, რადგან
მაშველი რგოლი იმ სულმნათს შარავანდედად ადგას.

მობრძანდით, როგორც შვილობილს ისე მიგიღებთ, მისის,
მობრძანდით, ძველი ერი ვართ, ვის როგორ დავხვდეთ ვიცით.

ქართველი, დიდიც, პატარაც, თუნდაც საფლავში მწოლი,
ყველა მაშველი რგოლია და სიყვარულის რგოლი.

...გვიყვარს მზე, მთვარეც ქართული, მაგრამ ორივე, მგონი,
ცად გვიკიდია სტუმრისთვის, როგორც მაშველი რგოლი.

# „ვალში ვარ თქვენთან...“

თეიმურაზ მამალაძე

ჩვენს ცხოვრებაში შემოიჭრება ხოლმე ისეთი დღე და საათი, როდესაც დრო ხილული ხდება. ის თითქოს ცოცხალ ადამიანთა სახეს ღებულობს, მათსავით მეტყველებს, ხმაურობს, თვალწინ გვესახება მათი საქციელი, საქმეები, მოქმედება. იგი გარს გვახვევს ამასწინანდელ და შორეულ დღეებს, ჩვენ კი მათში საკუთარ თავს ვეძებთ, ვეძებთ რესპუბლიკის, ქვეყნის, კაცობრიობის ცხოვრებასთან ჩვენი ყოფიერების კავშირს.

საათი, როდესაც დროის ამგვარი მონაკვეთი აშკარავდება, დღეს დაგვიდგა. ჩვენ სამუდამოდ გამოვემშვიდობეთ მეოცე ასწლეულის სამოცდაათიან წლებს და ფეხი შევდგით ოთხმოციან წლებში. უკვე დაგვიდგა 1980, წარსული წელი კი მაინც ცოცხლობს ჩვენში, კვლავ გვათბობს, გვაღელვებს, გვაფორიაქებს, გვახარებს...

ხეები უჩუმრად იზრდებიან, თვალისათვის შეუმჩნევლად, კაცობრიობის ყურადღებისაგან ფარულად მიმდინარეობს წყნარი მუშაობა — მატულობს წლიური რკალი. მხოლოდ შემდეგ, როდესაც წრე შეიკვრება, შევამჩნევთ, რომ თავს დაგვდგომია შემჭიდროებულ ხეთა ვარჯი, რომელიც ახლა უფრო ნაზად გამოიყურება და ქმნის დიდებულ, მშვენიერ ბაღს.

დღეს, ოთხმოციანი წლების პირველ დღეს, ყველასათვის ძალზე მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, რომ მასაც წილად ხვდა ამგვარი მუშაობა. ჩვენ შევეჩვიეთ იმ აზრს, რომ ისტორიას შეადგენენ დიდი ადამიანები და სახელგანთქმული ამბები, ქარში მოფრიალე დროშები და გმირთა გამოკვეთილი სახეები, სტარტი და აფრენა, გმირობა და გამარჯვება. ეს ასეც არის. მაგრამ გავიხსენოთ: თვალისათვის შეუმჩნევლად, ფარულად, უჩუმრად იზრდებიან წლიური რკალები. მიმდინარეობს აზრის, ცნობიერების, გრძნობების უხილავი მუშაობა, აუცილებლად რომ ახლავს წინსვლა-განვითარებას, მუშაობა, რომელიც გარდაუვალად წინასწარ გვამცნობს ყოველ დიდ მოვლენას, ყოველ საქმეს, ყოველ გმირობას.

წარსულ წელიწადზე, ჩავლილ სამოცდაათიან წლებზე რომ ფიქრობ, უნებურად ასკვნი: საქართველოს ისტორიაში ეს პერიოდი მთელი მუშაობის მოცულობის ამაღლებით აღინიშნა. ყოველივე იმან, რასაც მეცნიერების მშრალი ენით სუბიექტურ ფაქტორებს უწოდებენ, ისეთი სრულყოფილი და ფართო ურთიერთქმედება გამოავლინა, რომ ობიექტური კანონზომიერების ხასიათი მიიღო. რევოლუცია ჯერ ადამიანთა გონებასა და სულში იჩენს თავს და უკვე მერე ხდება ყოვლისგანმწმენდი სოციალური ძალა. არის დღეს იმის აუცილებლობა, რომ ყველა ჩაუფიქრდეს ცხოვრებას და თავისი „წლიური რკალი“ საქართველოს მშვენიერ და დიდებულ ბაღს შეუფარდოს... დიახ, თითოეულმა — თავისი, ყველამ ერთად კი — ჩვენი. თითოეულის სიცოცხლის წილი ჩვენი ერთიანი წელიწადია. ყოველმა ჩვენგანმა ამ წელიწადს კიდევ უფრო ძალუმად შეიგნო სამშობლოს ბედთან თავისი თანაზიარობა; ან ვერ შეიგნო, ვერ გაიხსენა, დაივიწყა, ვერ გაუღვიძა თავის თავს სამშობლოს წინაშე ზნეობრივი მოვალეობის, პასუხისმგებლობის გრძნობები, უღალატა სამშობლოს მიერ ნაანდერძევ ღირებულებებს.

ახალი წლის პირველ დღეს ამ ღირებულებებს განსაკუთრებული სიტყვა ეკუთვნის.

შემოვუსხდებით სადღესასწაულო სუფრას და წარმოვთქვამთ სადღეგრძელოებს. უნიკალურია ჩვენი სუფრის კულტურა: ეს არის მშვენიერი სანახაობა, სულიერი ურთიერთობის, არტისტიზმის, მჭევრმეტყველების, სიბრძნის გამოხატვის შინაგან მოთხოვნილებას რომ ავლენს. და კიდევ, როგორც რუსმა პოეტმა ევტუშენკომ თავის ლექსში თქვა, ქართული სუფრა არის ბურჯი, ადგილი, რომელიც ამჭიდროებს, რაზმავს ადამიანებს. მართლაც, რარიგ საპასუხისმგებლოა, ადგე და ისე წარმოთქვა სადღეგრძელო, რომ არ შელახო წესი და ადამიანთა ერთიანობას შენი წვლილი შემატო. მაგრამ, ალბათ, უფრო საპასუხისმგებლოა ნათქვამის შესაბამისად მოქმედება, წარმოთქმულის დაჯერება, ის, რომ არ შესცოდო ცხოვრების სიმართლეს, საკუთარ ღირსებას და პატიოსნებას.

აი, მაგალითად, მშობლიური მიწის სადღეგრძელო, მას ყველა და ყოველთვის ლამაზად და ამაღელვებლად წარმოთქვამს, ზოგს ცრემლებიც კი ერევა. ერთნაირად მჭევრმეტყველებენ ენგურჰესის მშენებელიც და მშენებლობაზე მოპარული მასალით აშენებული ძვირფასი სახლის მფლობელიც; მევენახეც, რომელიც შვილივით უვლის მარადიულ ქართულ ვაზს, და ის კაციც, ვისაც რესპუბლიკიდან ქურდულად გააქვს მშობლიური მიწის ნაყოფი. სუფრა ყველას ათანაბრებს, ანელებს უმწვავეს წინააღმდეგობას, არბილებს მოქალაქისა და პატრიოტის დანიშნულებაზე სხვადასხვა შეხედულების ანტაგონიზმს.

რაკი ღირებულებას შევეხეთ, მოდით, იმ რეალური ღირებულებათა გამარჯვების სადღეგრძელო წარმოვთქვათ, რომლებშიც ხალხის მარადიული ზნეობრივი გამოცდილება შედუღაბებულია ყოველდღიურობის მხარდამხარ სვლის ორგანულ მოთხოვნილებასთან ვადღეგრძელოთ პატრიოტიზმი, სანადიმო სუფრით რომ არ იფარგლება და მოიცავს ყველაფერს, რითაც დასაქმებულია ქართული მიწის ჭეშმარიტი მოამაგე, გულშემატკივარი და კეთილისმყოფელი.

განა შეიძლება, რომ თავის თავს პატრიოტს უწოდებდეს:

ექიმი, ყალბად გაცემულ ცნობაში ქრთამი რომ აიღო და არმიაში სამსახური აარიდა წვევამდელ ახალგაზრდას?

რკინიგზის სადგურის დისპეტჩერი, საწესდებო მოთხოვნები რომ დაარღვია და გამოიწვია კატასტროფა, რასაც, საუბედუროდ, მსხვერპლი მოჰყვა?

ლიტერატორი, რომლის უხეირო წიგნების სიმრავლე ტყესაც აჩანაგებს და მკითხველის სულიერ სამყაროსაც?

მშენებელი, ვის მიერ აგებულ სახლშიც ყველაფერი ხელახლა გასაკეთებელია?

იქნებ რიტორიკულად მოგვჩვენებოდა ეს კითხვები, ჩვენს შორის რომ არ ცხოვრობდნენ ისეთი ადამიანები, რომლებიც საოცრად იოლად ეფიცებიან სიყვარულს მშობლიურ მიწას და ყოველ ფეხის ნაბიჯზე კი ღალატობენ მას... დაუდევრობით, არაკომპეტენტურობით, გულგრილობით, სამეურნეო საქმის ცუდი განმგებლობით...

თვით პატრიოტიზმის ცნება დროისა და თანამედროვეობის კატეგორიებისაგან განუყოფელია. სიტყვიერი, აფექტური, რიტორიკული პატრიოტიზმი სასაცილოა ეპოქაში, როდესაც სამშობლოსადმი თანამედროვე მოქალაქის ერთგულების თითქმის ერთადერთი კრიტერიუმია მისი ის სურვილი და უნარი, რომ იმუშაოს ხალხის საკეთილდღეოდ მაქსიმალური უკუგებით, დროის უმაღლეს მოთხოვნათა დონეზე.

სამი წლის წინათ ბაიკალ-ამურის მაგისტრალის დასავლეთ უბანზე გახლდით. მკაცრი ყინვა იდგა, ორმოცდაათ გრადუსამდე. დაბა ზვიოზდნიდან ნია-გრუზინსკაიამდე რამდენიმე ათეული კილომეტრის გადალახვას ორი დღე დასჭირდა. და მთელ ამ მანძილზე არ შემხვედრია ისეთი ადამიანი, ჩრდილოეთის სპეციფიკით რომ არ გაემართლებინოს ირკუტსკის ოლქის მუშაობისა და ყოფაცხოვრების მძიმე პირობები. სასტუმროში ცივა — „ჩრდილოეთიც ამიტომ ჰქვია“. ტუალეტები, მაპატიეთ, ეზოში დაუდგამთ, როგორც სოფლად იციან — „თქვენ რა, დაგავიწყდათ, სად იმყოფებით?“ სასადილო კვამლით არის სავსე, მოუწყობელია, არაჰყოფნით ადგილები — „ამას უნდა შეურიგდე!“ მაგრამ ვეებერთელა „მაგირუსის“ მძღოლი, ნიამდე მიყვანა რომ აღმითქვა, ოცნებამორევით მეუბნება: „აი, ქართველებთან მივალთ და გავთბებით. იცით, რა კარგი დასახლებაა ეს?“

ჯერ არ ვიცოდი, რა ახალშენი იყო, ერთ დღესაც კი არ მემუშავა იქ და უკვე ვამაყობდი მისი მშენებლებით, ჩემი თანამემამულეებით. ვამაყობდი, რომ აბსტრაქტულად კი არ ვეკუთვნოდი ჩემს საქართველოს, არამედ სრულიად კონკრეტული საქმეებით, რომლებმაც მისი ადამიანების კეთილსინდისიერი მუშაობისა და ნამუსიანი ცხოვრების უნარი გამოავლინეს; ვამაყობდი ხის ტროტუარებით, რომელთა წყალობით მშვიდად გადახვიდოდი სახლიდან სახლში და წელამდე არ ჩაეფლობოდი ნამქერში; ვამაყობდი მოხდენილად წამოჭიმული საცხოვრებელი და დამხმარე შენობებით; სასადილოთი, სადაც მეზობელი დასახლების მშენებელთა სიტყვით, თავი შინ გეგონება („მიყვარს ქართველებთან წასვლა, — მეუბნებოდა ახალშენ მაგისტრალნის ერთი მცხოვრები, — იქ ისინი საოცრად გემრიელ წვნიანს ამზადებენ.“), ვამაყობდი ფინური საწყობიდან გადაკეთებული სპორტული დარბაზით, სადაც ყველაზე მძაფრ ყინვაშიც კი გახურებული თამაშის დღესასწაული სუფევს. მყუდრო სასტუმროში რომ დამაბინავეს, რომელიც ქალაქისას არაფრით ჩამოუვარდებოდა, უნებურად ცრემლები მომერია: კომფორტი ასეთ ადგილას რაღაც ბევრად უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ კარგი საცხოვრებელი ბინა. იქ ცხელი წყალიც კი იყო — სრულიად წარმოუდგენელი რამ ირკუტსკის ოლქის პირობებში.

„მე საქართველო ვიხილე ბამზე“ — რუსი პოეტის პოემის ეს სტრიქონი ამოკვეთილია ვეებერთელა ფირნიშზე, ნია-გრუზინსკა-

ის შესავალთან რომ დაუდგამთ. წავიკითხე იგი და უკვე კი ცოდი, რომ ეს სრულიად არ ყოფილა დეკლარაცია. არის ნამდვილი საქართველო ბამზე, ჭეშმარიტი, უტყუარი — შრომისმოყვარე, დაუღალავი, შეუპოვარი, გულითადი, სტუმართმოყვარე, მხიარული... და თანამედროვე, რადგანაც ყველაფერი, რასაც იქ ის ქმნის, ჩვენი დროის მხარდამხარ მიაბიჯებს.

სალამოს მასპინძლებმა სუფრასთან მიმიპატიჟეს. საოცარი, რაღაც განსხვავებული გრძნობა მეუფლება: სადღაც ციმბირში, თბილისიდან და გორიდან, საჩხერიდან და თელავიდან ათასობით კილომეტრის დაშორებით, ახალი წლის ღამეს ვუზივარ საახალწლო სუფრას, ვისმენ მშობლიურ სიმღერებს, ვსვამ ჩვენებურ ღვინოს... ვუსმენდი სამშობლოს სადღეგრძელოებს და ვფიქრობდი, რომ ამ ადამიანებს აქვთ მისი წარმოთქმის უფლება, ეს უფლება მათ მოიპოვეს. ეს ტრადიციული შესიტყვება როდია, ეს არის საგნობრივი, მატერიალიზებული ძალა. ამიტომაც მათი სიტყვა საქართველოზე სუნთქავდა არა მაღალფარდოვანი არქაიზმით, არამედ თანამედროვეობით.

ვწერ ამას და ვფიქრობ: მთელი უზარმაზარი სამუშაო, სამოცდაათიან წლებში რომ შესრულდა, არსებითად სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა: გაგვეყვანა რესპუბლიკა ქვეყნის მოწინავე მიჯნებზე. და თუ ამას მრავალმხრივ მივაღწიეთ, თუ ჩვენ შორეული ტაიგის ქართველ მშენებელთა მსგავსად უფლება გვაქვს, ვიამაყოთ ჩვენივე შრომის ნაყოფით, მხოლოდ იმიტომ, რომ გარდაიქმნა, გადახალისდა ბევრი კატეგორიისა და ღირებულების ბუნებაზე ადამიანთა შეხედულებები და რაც მთავარია, გამოიკვეთა ის რწმენა, რომ ადამიანი ეკუთვნის თავის დროს.

არ შეიძლება, რომ მეოცე საუკუნის უკანასკნელ ოცწლეულში შესვლისას აზროვნებდე და მოქმედებდე სხვა, დიდი ხნის წინანდელი დროის დონეზე. სწორედ დღეს უნდა ჩავუფიქრდეთ ამას, რადგანაც არცთუ ისე შორეულმა წარსულმა არაერთი საბუთი დაგვიტოვა იმისა, თუ რა ძვირად დაუჯდა რესპუბლიკას ცალკეული ადამიანების, მთელი კოლექტივებისა და მეურნეობათა დარგების არსებობა დროის მიღმა.

ოთხმოციანი წლების პირველი წელიწადი მეათე ხუთწლედის უკანასკნელი წელია, ეს იქნება მორიგი, მეთერთმეტე ხუთწლედის საფუძველი, სკკპ XXVI ყრილობისათვის აქტიური მზადების წელი. ტრადიციისამებრ ახალი წლის მოახლოების მაცნე ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიამ, რომელმაც განიხილა სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1980 წლის სახელმწიფო გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტები, წამოაყენეს მოქმედების უფართოესი პროგრამა. მისი განხორციელების გზები და საშუალებები შთამბეჭდავი სიღრმითა და სიცხადით აისახა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე. დადასტურებულია კურსი, რომელიც ითვალისწინებს წარმოების ეფექტიანობასა და მაღალ ხარისხს ეკონომიკის წამყვან დარგებში, სახალხო მეურნეობის ორგანიზაციისა და მართვის სრულყოფას, ყოველი ხელმძღვანელის, ყოველი მუშაკის პირადი პასუხისმგებლობის ამაღლებას.

ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს მეთაურმა, ქვეყნის ყველა მშრომელს შრომისნაყოფიერებისა და ხარისხის ამაღლებისათვის გაორკეცებული და გასამკეცებული ენერგიით მუშაობისაკენ რომ მოუწოდა, განსაკუთრებით გაუსვა ხაზი ეგრეთ წოდებულ სუბიექტურ ფაქტორებს. საშინაო და საგარეო ცხოვრების თანამედროვე პირობებში მეურნეობის ექსტენსიურიდან ინტენსიურ მართვაზე აბსოლუტურად აუცილებელი გადასვლა წარმოუდგენელია მატერიალური წარმოების, მეცნიერების, კულტურის ყველა დარგში თითოეულ სამუშაო ადგილზე პასუხისმგებლობის ამაღლების, პროფესიონალიზმის, კომპეტენტურობის გარეშე.

ძნელი როდია ამ მოთხოვნათა კონტექსტიდან იმ ამოცანების გამოყოფა, ჩვენი რესპუბლიკის წინაშე რომ დგას. მათ შესახებ ითქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე, რომელიც კადრების საკითხებს მიეძღვნა. მათ შესახებ აღინიშნა რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე, სადაც განიხილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით გათვალისწინებული პროგრამა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის შემდგომი დაჩქარებული განვითარებისა. ოთხმოციანი წლები (ორი ხუთწლედი) ჩაივლიან ჩვენი რესპუბლიკისათვის ამ ისტორიული გადაწყვეტილების განხორციელების ნიშნით, რასაც შედეგად მოჰყვება საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის მნიშვნელოვანი განვითარება, ამოსაშრობ და სამელიორაციო სამუშაოთა განხორციელება აქამდე არნახული ტემპით, გადამამუშავებელი მრეწველობის ახალი გაფართოება, მსხვილი კომპლექსებისა და ობიექტების მშენებლობა. ყოველივე ეს, თავის მხრივ, წინასწარ განსაზღვრავს დიდ სოციალურ ძვრებს, გაზრდის ხალხის კეთილდღეობის დონეს, კიდევ უფრო გაამდიდრებს რესპუბლიკის ეკონომიკურ პოტენციალს, მის კულტურას.

სრულიად ნათელია, რომ ჩვენ — ყოველი ჩვენგანი, რომლებიც მეოცე ასწლეულის ოთხმოციანი წლების ადამიანები გავხდით, ვალდებულნი ვართ, ვიფიქროთ ჩვენი შესაძლებლობისა და მზადყოფნის ხარისხზე, რათა უკვე უახლოეს მომავალში სწორედ ოთხმოციანი წლების დონეზე გადავწყვიტოთ გაზრდილი სირთულის ამოცანები.

ახლა ისევ წარსულზე, მხოლოდ რამდენიმე სტრიქონი. ახალი წლის დღეებში ადამიანი აჯამებს იმას, რასაც მიაღწია და ასეც უნდა, უამისოდ არ იქნება წინსვლა. არ იქნება ასეთი წინსვლა და არ მოხდება წლიური რკალის ზრდა, თუ არ ჩავუფიქრდებით იმას, რაც ვერ გავაკეთეთ, ვერ განვახორციელეთ, ვერ დავძლიეთ. გახსოვთ მაიაკოვსკის სიტყვები: „ვალში ვარ თქვენთან... ბალდადის ზეცავ...“.

ყოველ ადამიანს აქვს (ან უნდა ჰქონდეს) თავისი ბაღდადური ზეცა, მწვერვალი, რომლისკენაც უნდა ისწრაფოდეს; აქვს საქმეები და ჰყავს ადამიანები, რომელთა წინაშეც იგი ვალშია.

მოდით, შევაჯამოთ ყველა ვალი სულიერი, საქმიანი, პროფესიული, ზუსტად დავადგინოთ, სახელდობრ რა ვერ მივიყვანეთ ბოლომდე, ვერ დავასრულეთ, ვერ ავაგეთ — დრო ხელსაყრელია ამისათვის: ოთხმოციანი წლების დასაწყისი.

რა ხშირად ვამბობთ ხოლმე: „ხვალიდან შევუდგები!“ რა ხშირად ვამბობთ ხოლმე: „ახალი წლიდან ახლებურად ვიწყებ!“ მაგრამ ახალი სტრიქონით კი არ ვიწყებთ მას, არამედ წარსულში დაწყებულს განვაგრძობთ.

# ლ ე ნ ი ნ ი

**რევაზ მარგიანი**

მეზობელს ლამაზი ბიჭი ჰყავს პატარა,
მკვირცხლია, თან დაუზარები.
უცინის, უბრწყინავს ვარსკვლავის მაგვარად,
ცისფერი, ჭკვიანი თვალები.

ალერსით არ შეხვდე, რა გაგაძლებინებს —
თვალწინ დგას მამულის იმედი,
ტუჩებს, ვით ბროწეულს, გახსნის და შეგცინებს
ცარცივით ქათქათა კბილებით.

ადრიან, როდესაც ჩემს ბანზე შევდგები,
ის, როგორც ჭიკჭიკა ფრინველი,
შინ შემოფრინდება საყვარელ ლექსებით
და „დილას“ შემძახებს პირველი...

და მოხდა ჩვენს სახლში ასეთი ამბავი:
ოცნებით ცას მისწვდა პატარა,
მას ბიძამ აჩუქა ლამაზი ანბანი
და ბიჭმა მეზობლებს გვახარა.

დრომ განვლო. დრომ განვლო და ასო ყოველი,
თბილისის სტამბაში მოჭრილი,
ბეჯითმა, ჭკვიანმა და დაუდგრომელმა
ბიჭუნამ გახადა მორჩილი.

და ასოები, ისე ვით ჩიტები,
ჩამწკრივდნენ ოქროთი ფერილი —
ბიჭუნამ რვეულზე სათუთი თითებით
პირველად დაწერა
ლ ე ნ ი ნ ი.

ლენინის სახელი, ვით ბედნიერება,
გაისმა, გადიდდა ნათელი,
თითქოს ფრთა შეისხეს საამო ბგერებმა,
გაილო ოთახის სარკმელი;

გაფრინდა, გაფრინდა ბიჭუნას ამბავი,
ჭიკჭიკით ქვეყანას აჯარა:
— პატარა ქართველმა ისწავლა ანბანი,
ლ ე ნ ი ნ ი დაწერა პატარამ.

რევაზ ინანიშვილი

# არწივი

მოთხრობა

ის ჩემთან მოფრინდა.

მე ვიყავი ყველაზე მარტოსული, ყველაზე მიტოვებული ამქვეყნად (ბედნიერი ხართ, თუ ასეთი ფიქრი არ დაგეუფლებიათ არასოდეს), აღარ ვჭირდებოდი აღარავის — აღარც მეუღლეს, აღარც შვილებს, აღარც მეგობრებს. გამოვიდოდი სახლიდან (სახლი სხვისი იყო, მე ის ნაქირავები მქონდა, რომ ორ თვეს სოფლური ჰაერით ესუნთქათ ჩემ ცოლს, შვილებს და შვილთაშვილებს), გამოვიდოდი ჯერ ისევ ბნელში, სიბერისაკენ მიდრეკილი, თმადაუვარცხნელი, გაფლაშულკედებათრუული, მივჯდებოდი მესერის ძირას, მივეყრდნობოდი ნაგვერდულ ფიცრებს და გულხელდაკრეფილი შევცქეროდი ცას — იქიდანღა მოველოდი შველას.

ჩემს თვალწინ ფუსფუსებდა, თავის გასაკეთებელს აკეთებდა ცა — თანდათანობით, ერთმანეთის მიყოლებით აქრობდა ვარსკვლავებს. როგორც რომ ტბორი, უბეს ივსებდა სილურჯით და სითეთრით, გალიცლიცდებოდა კიდით კიდემდე და მერე გაუღებდა მზეს კარს. ჟრიამულით, კისკისით შემოდიოდნენ მზის პირველი სხივები.

მე არ ვთხოვდი ცას არაფერს, ჩემი დაღლილი სხეული თხოულობდა მასთან ყოფნას, მასში გალხვობას, როგორც ლხვებოდა სილურჯე და სითეთრე.

ის კი თავისთვის აკეთებდა საკეთებელს. გაავარვარებდა მზეს, მერე დედამიწას, — კვნესოდნენ ხეები და ადამიანები პაპანაქებაში (ალბათ, ასე იყო საჭირო), მიწის სიღრმეებში ეძებდა თავშესაფარს წყალი, — კარგად მოიჯერებდა გულს ქვეყნიერების წამებით და ამის შემდეგ ძლივს შეიცვლიდა სახეს სიგრილისა და სიბნელის შესახვედრად.

მთელ ქვეყანაზე, მე ვგონებ, პირველი გამოვდიოდი გარეთ და ამიტომ თუ შემამჩნია. მამჩნევდა ყოველდღე, ჯერ ისევ ბლანტე სიბნელეში, მესერის ძირას მიკარგულს, გულხელდაკრეფილს, მისკენ მუდარით თვალებაპყრობილს.

და გამოგზავნა ჩემთან ის... არწივი.

პირველად რომ დავინახე, მაშინ სულ არ ვიცოდი, ახლაც დარწმუნებით არ ვიცი, ძერა იყო, ყაჯარი თუ არწივი. მინდოდა არწივი ყოფილიყო და ასე ვუწოდე.

ფრთებგაშეშებული მოდიოდა წოწოლა მთის მხრიდან (იმ წოწოლა მთაზე პატარა ეკლესიის ნანგრევი დგას), ცა იყო ლურჯად გამტკნარებული, დაძაბული, სულ მალე უნდა გაეღო კარი მზისთვის. თითქოსდა ერთად მოდიოდნენ ჩემკენ წოწოლა მთა და არწივი. წოწოლა მთა ცის ლურჯ ფონზე გაჩერდა; არწივი მოვიდა ჩემთან, ჩემს მაღლა მშვიდად შემოხაზა წრე, მოსალმების ნიშნად, ასწია მხარი და დაიქნია, ასწია და დაიქნია, მერე გააშეშა ფრთები და ისევ შემოხაზა მტკიცე წრე.

მე სახლში შევვარდი, გამოვიტანე დურბინდი და იმით დავუწყე მზერა. გრძლად გაჭიმული ფრთების მარჯვენა ბოლოში ერთი დიდი შავი ბუმბული აკლდა. მშვიდი და ამაყი, თვალებდაუხამხამებლად დამყურებდა მაღლიდან. არავითარი ძალდატანება! თითქოს წრიულად მბრუნავ ჰაერს მიჰყვებოდა თვითონ გაჩერებული. რამდენჯერმე რომ მოხაზა წრე, ოდნავ, სულ ოდნავ შეღუნა ფრთა, წამოვიდა დაბლა-დაბლა, გეზად, რკალს გამოყოლილი; იზრდებოდა და იზრდებოდა შავად დასირმული მისი ლეგა მკერდი; ნელა ასწია თავი და შუშხუნასავით ავარდა მაღლა. კიდევ გააკეთა ასე, კიდევ და კიდევ, — თითქოს დაცემისა და ამაღლების გაკვეთილს მაძლევდა, — მერე ფრთებგაშეშებული ისევ მიჰყვა წრეს და, სამჯერ რომ შემოიარა, წავიდა, მხრით გახაზა წოწოლა მთის ნანგრევი, გაუჩინარდა... მე უკვე ფეხზემდგარი გავყურებდი მისი დაკარგვის გზას, და მაშინვე ვიგრძენი, რომ შედარებით ღონივრად ვებჯინებოდი მიწას.

საღამოს, მზე რომ ჩავიდა და კვლავ გამტკნარდა ცა, არწივი ისევ მოფრინდა ჩემთან, ახლა უფრო მშვიდი, დაუძაბავი და სივრცის შემტკბობი. არავითარ ყურადღებას არ აქცევდა გუნდად დადევნებულ ნამგალებს და მერცხლებს. ასინი თვითონ მიხვდნენ, უნდა გასცლოდნენ და გაეცალნენ კიდეც. არწივმა იტრიალა ჩემს მაღლა, — მიყურებდა იმგვარადვე დაშტერებული თვალებით, — ერთი-ორჯერ შეღუნა ფრთები, ერთი-ორჯერ დაეშვა და შუშხუნასავით ავარდა მაღლა, გაასწორა მხრები და წავიდა, გაუჩინარდა წოწოლა მთის უკან.

მოფრინდა მესამედაც, მეორე დღის დილას.

მაღლა თითქოს ჰაერი ღელავდა, ღელავდა თუ მიღუნულ-მოღუნული იყო, არწივს მხრების შენაცვლება უხდებოდა, ხან ერთ მხარს წაილებდა წინ, ხან მეორეს. როგორღაც გულგრილადაც იყურებოდა დაბლა, შემოხაზული წრეებიც აღარ იყო წინანდებურად ზუსტი. სამაგიეროდ, რამდენჯერაც დაქანდა, იმდენჯერ ახლოს მოვიდა მიწასთან;· და როცა აიჭრა ერთხელაც და გამართა, გაჭიმა მხრები, ზედიზედი ჭექა ავარდა მისკენ; უცებ შეწყვიტა წინსვლა, გადაბრუნდა ჰაერში და ჩვარივით ტრიალ-ტრიალით წამოვიდა ძირს.

მე გავიქეცი ძველი სასაფლაოს ძეძვებისკენ, სადაც ის ჩაეშვა.

იქ შევეფეთე სახეგახარებულ კაცს, რომელსაც ორლულიანი თოფი საფლავის ქვაზე მიეყუდებინა და ჯერაც ისევ მებრძოლ ფრინველს მაღლა სწევდა, მთელ სიგრძეზე უქაჩავდა ფრთებს.

— რატომ ქენი ეგ?! — ვკითხე იმ კაცს და გულთან მიდებული ხელი ჩამოვუშვი.

— რა ვქენი? — შემომხედა ღიმილით.

— რატომ მოკალი?!

— ვერ ვიტან, ვინმე რომ დამპარპაშებს თავზე, თვითონ ღმერთიც რომ იყოს!

მე უკვე ვიცნობდი ამ კაცს. წინა თვეს თბილისიდან წამომიყვანა საკუთარი „ვოლგით“, საშინელი სისწრაფით. მაშინ ვერ იტანდა, ვინმე რომ მიდიოდა მის წინ; წინა კვირას ბაზარში ვნახე, ეძებდა ისეთ საზამთროს, ყველაზე დიდი, ყველაზე დიდი რომ იქნებოდა მთელ ბაზარში.



ვიცნობდი მის მეუღლესაც — ყველაზე მაღლა თავაწეულ ქალს მთელ აგარაკზე.

უცებ ადგილს მოვწყდი, ხელი დავტაცე თოფს, დავიქნიე საფლავის ქვისკენ და შემაშფოთებლად სწრაფად ვიგრძენი, როგორ დამსუბუქდა კონდახი.

არწივს უმწეოდ დაჰკიდებოდა თავი მკერდზე.

# 30 წუთი მიხეილ ცისკარიშვილთან

თედო ბექიშვილი

ამ კაცის სახელი მთელმა საქართველომ იცის. ენგურჰესის უნიკალური ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის უფროსად 1972 წელს დანიშნეს და მას შემდეგ ენგურის გრანდიოზულ კაშხალთან ერთად გაიზარდა მისი სახელიც...

მიხეილ ცისკარიშვილი!

ცისკრის ნათელი განწყობილება დაჰყვება მუდამ ამ სახელის ხსენებას... ჯერ კიდევ ამ ოთხიოდე წლის უკან ჯვარზენში მივლინებაში მყოფს მინდოდა მისი გაცნობა. ვერ მოვახერხე. ერთი კია — შთაბეჭდილება, რომელიც მაშინ მიხეილ ცისკარიშვილის კოლეგებთან საუბრისას გამომყვა, დღემდე არ გამნელებია, მასზე ყველანი აღტაცებითა და მოწიწებით ლაპარაკობდნენ...

ახლა, როდესაც „დროშის" რედაქციამ მიხეილ ცისკარიშვილზე ნარკვევის დაწერა დამავალა, ის განწყობილება, მაშინდელი ინტერესის დაუკმაყოფილებელი გრძნობა გამიცოცხლდა და გულში გავიფიქრე, — ახლა მაინც შევძლებ-მეთქი ამ კაცის გაცნობას...

მიხეილ ცისკარიშვილი ახლა საქჰიდროენერგომშენის ტრესტის მმართველია, შეთავსებით ენგურჰესის მშენებლობის უფროსიც, ცალი ფეხი ჯვარზენში უდგას, მეორე თბილისში, ასე რომ მისი ნახვა, ვიცოდი, ამჯერად უფრო იოლი იყო. დავურეკე სამსახურში. ყურმილი თვითონ აიღო.

— მოდით ხვალ ათ საათზე, ათი წუთი გვეყოფა! — მოკლედ მომიჭრა.

ალბათ შეპასუხება არ ღირდა, მაგრამ იმდენად მეცოტავა ეს დრო, ათი წუთი ნამდვილად არ გვეყოფა-მეთქი, — ვუთხარი. კარგი, ხვალ ვნახოთო.

მეორე დღეს, ათს რომ სამი წუთი აკლდა, უკვე მის კაბინეტში ვიყავი. ცისკარიშვილი თავის ორ თანამშრომელს ესაუბრებოდა. გამეცნო, დაბრძანდითო მითხრა, საათს დახედა და საუბარი განაგრძო.

მაღალი, ხმელი კაცია. ხშირი შეჭაღარავებული თმის ტალღები ოდნავ ირიბად გადაუდის თავზე. აქვს გრძელი, სწორი სახის ნაკვთები... ოდნავ მეჩხერი კბილები მის სახეს მკაცრ, ვაჟკაცურ ელფერს მატებს.

თანამშრომლები გაისტუმრა და მე მომიბრუნდა. უკვე ათი საათია. სულ რაღაც რამდენიმე წუთში მან იმდენი რამის თქმა, გამოკითხვა და დავალება მოასწრო, ზოგს ერთი საათი არ ეყოფოდა. „ამ კაცმა იცის დროის ფასიც და მისი გამოყენების უნარიც შესწევს", — ვფიქრობ ჩემთვის.

მიხეილ ცისკარიშვილს რომ დავემშვიდობე, უკვე თერთმეტის ნახევარი იყო. ისევ მან დახედა საათს, გაიღიმა თავისი ვაჟკაცური ღიმილით და მითხრა:

— მართალი გამოდექით, არ გვეყო ათი წუთი, თუ კიდევ რამე გაინტერესებთ, დამირეკეთ...

მთელი ის ნახევარი საათი ისე გავიდა, ვერ ვუთხარი, რომ ნარკვევის დაწერას პირადად მასზე ვაპირებდი. კაცი რომ გაიცნო, მასთან ერთი ფუთი მარილი უნდა შეჭამოო, გვეუბნება ქართული ანდაზა. მე კი ასე სახელდახელოდ, პირველი გაცნობისთანავე, რა უფლება მქონდა, ასეთი სურვილი გამომეთქვა. ვიფიქრე, იუხერხულებს და ეს განსაზღვრული წუთები შეიძლება უფრო შემიმციროს-მეთქი. ამიტომ ის ნახევარი საათი ენგურჰესისა და ვარციხის, ჟინვალჰესისა და ხუდონჰესის მშენებლობაზე საუბარში გაგველია. პატივცემულმა მიხეილმა ზეპირად გადმომცა, რომელი სადგური რამდენ ელექტროენერგიას გამოიმუშავებს, რომელი აგრეგატი როდის ჩადგება მწყობრში, რა სიძნელეებია გადასალახავი, რომ საქართველო (ჰიდრორესურსებით ასე მდიდარი ქვეყანა!) აღარ ჩამორჩებოდეს საერთო-საკავშირო მაჩვენებლებს ელექტროენერგიის გამომუშავებაში.

ციფრები ბლოკნოტში ჩავიწერე, მაგრამ აქ აღარ ვიმეორებ, მკითხველისათვის ისინი მეტნაკლებად გაზეთებიდან თუ რადიო-ტელევიზიიდანაც არის ცნობილი. თანაც ჩვენი მიზანი ხომ უფრო სხვაა, ვიდრე ამ ჰიდროენერგონაგებობათა მონაცემების გადმოცემა. მე მაინტერესებს კაცი, რომელიც საქართველოს ჰიდროენერგომშენებლობის რთულ საქმეს უდგას სათავეში. სულ ორი თვის დანიშნულია იგი ამ თანამდებობაზე, თანაც ისეთი დიდი მშენებლობის უფროსობის შეთავსება, როგორიც ენგურჰესია, ალბათ, მკითხველი ისედაც მიხვდება, ადვილად ასაწევი ტვირთი არ გახლავთ, მის სიმძიმეს ორი კარგი ვაჟკაცის ბეჭები მაინც ჰირდება, მიხეილი კი მარტო შესდგომია და ისე მსუბუქად ეწევა ამ ტვირთს, ეტყობა, „თამაშად და მღერად უჩანს".

მე მაინტერესებს მიხეილ ცისკარიშვილის ცხოვრებისეული თუ სულიერი ბიოგრაფია, მაგრამ მისი ბიოგრაფია ხომ ენგურჰესის მშენებლობის გმირულ მატიანესთანაა დაკავშირებული. მათ ვერ გათიშავ, ვერ გააცალკევებ. იგი ცხოვრობს ამ დიდი საქმის სიყვარულით, ესაა მისი პირადი ცხოვრება. აქ მთლიანად ერთმანეთზეა გადაჯაჭვული საზოგადოებრივი და პირადი. წარმოშობით თუშია, ალვანიდან. დაიბადა თბილისში 1928 წელს. 1952 წელს ინსტიტუტი დაამთავრა და ჰიდრომშენებელი გახდა. შემდეგ მუშაობდა წყალთა მეურნეობის საპროექტო ინსტიტუტში, შემდეგ ზემო ალაზნის სარწყავი მშენებლობის უფროსობა და ბოლოს — 1972 წელს ენგურჰესი. აქ გამოჩნდა მთელი სისრულით მიხეილ ცისკარიშვილის დიდი ორგანიზატორულ-შემოქმედებითი ნიჭიერება, საქმის უსაზღვრო სიყვარული. ეს ხომ დიდი ეროვნული მნიშვნელობის საქმეა, ენგურჰესი — რესპუბლიკის ერთ-ერთი უდიდესი მშენებლობა, დღეს წარმოუდგენელია ცივილიზაციის, კულტურის პროგრესი ელექტროენერგიის გარეშე. ყოველი ახალი დღე ახალ მოთხოვნებს აყენებს. ზაჰესის ელექტროსადგურის სიმძლავრე ახლა საქართველოში მხოლოდ ტელევიზორებს არ ყოფნის... მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერების, კულტურის, ერთი სიტყვით, უკლებლივ ყველა სფერო ჩვენი დღევანდელობისა უშუალოდ უკავშირდება ელექტროფიკაციის საქმეს. და სანამ ენერგიის უფრო იაფი წყარო აღმოჩნდებოდეს, ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა რჩება ერთ-ერთ ძირითად დარგად და საქმედ, რესპუბლიკის წინსვლის აუცილებელ პირობად.

კარგად იცის მიხეილ ცისკარიშვილმა, რომ მისი ნიჭი და ენერგია ერის სასიკეთოდ, ერის სადღეისო და სახვალიო საქმეს ხმარდება. ინტელექტუალური შრომის გმირობაც ამიტომ [illegible] უანგარო და ჩუმი მსახურია ერისა, თავისი ხალხისა, სულიერ კმაყოფილებას ამ მსახურებაში პოულობს და განა ბედნიერი არაა იგი, ვინც მამულის სიმტკიცის ბალავარს თავისი შრომითა და ოფლით ადუღაბებს?!

მიხეილ ცისკარიშვილის გამჭრიახი თვალი შორს იყურება (ახლა უკვე ვიცი, მას ცასავით ლურჯი, კამკამა გამოხედვა აქვს, წრფელი, მართალი კაცის თვალები), იგი ხედავს ბობოქარი მდინარეების ერის საკეთილდღეოდ გარდაქმნილ ენერგიას, მის სისხლში ღრმადაა გამჯდარი ჩვენი სახელოვანი წინაპარი მშენებლების ძვირფასი ანდერძი: უკვდავია მშენებლის ნახელავი და ამ უკვდავებაშია მშენებლის უკვდავებაც. კაცი მიდის, საქმე რჩება! ასე დარჩნენ ჩვენთან ვარძიისა თუ გელათის, სვეტიცხოვლისა თუ ალავერდის, ჯვრისა თუ ფიტარეთის, სამშვილდისა თუ დავით გარეჯის უკვდავი მშენებლები, თუშეთისა და სვანეთის ყელყარყარა კოშკების ხელმადლიანი ოსტატები. ასე გრძელდება ისტორია.

გრძელდება სახეცვლილი და დღევანდელობას მისადაგებული. ჩვენ გაოცებულნი შევყურებთ ჩვენი ერის ნიჭიერების მეტყველ ძეგლებს და თუ ხშირად სახელი ამშენებლისა აღარ შერჩენია ტაძრის კედლებსა თუ ფერგადასულ მატიანეებს — მაინც ვიცით, რომ მათ აშენებდა ჩვენი წინაპარი, კონკრეტულ დროში მცხოვრები კონკრეტული პიროვნება. გონების თვალით ავწონ-დავწონით მათს უბადლო ნამოქმედარს და გვიხარია, გვიხარია და გვეამაყება...

ასევე შეხედავს ენგურჰესის ყამთასვლისაგან ჩალუსკუმებულ მკვიდრ კედლებს მომავლის ქართველი და მას უთუოდ ეცოდინება, რომ ამ გრანდიოზული მშენებლობის სათავეში იდგა დაუღალავი და შეუპოვარი მშენებელი მიხეილ ცისკარიშვილი. კაცი, რომელიც თავისი დიდი შრომის საფასურად იმკიდა თავისი ხალხის სიყვარულსა და ღრმა პატივისცემას.

რისი წყალობით ხდება, რომ მავანს შეუძლია წინ წავიდეს და ხალხი გაიყოლიოს? „კაი ყმის" ცნება ჩვენთან არასოდეს ყოფილა აბსტრაქტული. მთელი ჩამოყალიბებული კოდექსი გვაქვს ამის თაობაზე და ეს კოდექსი დღესაც ძალაშია. „კაი ყმის ნაბინავარზე შეშანი დარჩებიანო", — ამბობს ერთ-ერთი ამგვარი კოდექსი და ამ ერთი შეხედვით უბრალო სიტყვებში დიდი ეროვნული სიბრძნე და ადამიანის მოქალაქეობრივი ვალია გაცხადებული. იგი გვასწავლის, რომ ადამიანმა ხვალინდელ დღეზე და თავის უკან მავალზე თუ არ იფიქრა — ქვეყანა წინ ვერ წავა. ამ სახვალიო ფიქრითაა სავსე მიხეილ ცისკარიშვილის მთელი საქმიანობა, ხვალინდელი საქართველოს კეთილდღეობას ხედავს იგი ენგურისა თუ არაგვის სინათლედ გარდაქმნილ ტალღათა გუგუნში. ძალასა და ენერგიასაც ამგვარი განწმენდილი ფიქრი აძლევს ადამიანს. მართლაც დიდი უნარი და ენერგია სჭირდება იმ საქმეთა ისე გაძღოლას, როგორც ამას მიხეილ ცისკარიშვილი ახერხებს. თავისი პირადი მაგალითით, თავისი მჩქეფარე ენერგიით იგი ყველგან ამკვიდრებს დიდ შრომით პათოსს, ყოველგვარ სიძნელეთა გადალახვის სულისკვეთებას. ხელმძღვანელის მაგალითს კი დიდი ძალა აქვს.

ენგურის დიდი ეპოპეა მთელმა საქართველომ იცის. მიხეილ ცისკარიშვილის „სამფლობელო" ახლა უფრო განივრცო და გაფართოვდა... წინ დიდი საქვეყნო საქმეთა ასპარეზია გადაშლილი...

მეტი სინათლე მოეტანოს ხვალინდელ დღეებს!




ეროვნული ბიბლიოთეკა

- სოციალისტური შრომის გმირი მიხეილ ცისკარიშვილი.
- კაშხალის ერთი უბანი.
- საბაგირო გზები კაშხალისაკენ.
- სოციალისტური შრომის გმირი ალექსანდრე ოლეინიკოვი.

თარხან არჩვაძის ფოტო.















# მხატვრის სახლი თბილისში

- საგამოფენო დარბაზის ერთი კუთხე.
- იაკობ ნიკოლაძე — ქალიშვილის ბიუსტი.
- მხატვრის სახლის სალონი.
- ვლადიმერ გრიგოლია — გიორგი ავალიშვილის წიგნის ილუსტრაცია.
- კაფე.
- იაკობ ნიკოლაძე — ქალის პორტრეტი.
- სერგო ქობულაძე — „მეფე ლირი", ილუსტრაცია.





ელექტრონული
ბიბლიოთეკა



# გიგო
# გაბაშვილი

- მთვრალი ხევსური.
- თხები.



ეროვნული ბიბლიოთეკა



# წერილი

## მოთხრობა

### ვასილ შუკშინი

თარგმნა ჯუმბერ თითმერიამ

მხატვარი თენგიზ სამსონაძე

დედაბერმა კანდაუროვამ სიზმარი ნახა: თითქოს დაჩოქილი ლოცულობდა, ოღონდ კუთხეში ხატი არ ესვენა, მისი ადგილი ცარიელი იყო. აი, ლოცულობს იგი, თან ფიქრობს: „სადა მყავს, ნეტავი, ღმერთი, სად?“

შეშინებულ დედაბერს გამოეღვიძა, დილამდე აღარ დაუძინია, სიზმრის ახსნას ცდილობდა. რატომ ნახა ასეთი სიზმარი? ვაითუ, იმ გოგოს უჭირს რამე? დედაბრის უმცროსი ქალიშვილი ქალაქში ცხოვრობდა, კარგ ადგილზე მუშაობდა გამყიდველად. კარგი გოგო მყავსო, ამბობდა დედაბერი, მთელ ნათესაობას გულისყურს არ აკლებსო, ვის იმპორტულ კამფეტებს უგზავნიდა, ვის — შალეულს, ვის კიდევ — სარეცხ მანქანასაც კი. უფასოდ არა, რა თქმა უნდა, ნათესავები ფულს აძლევდნენ, მაგრამ, მაინც... აბა, ბიჭი ხარ, მიდი და თუ რამე მოგცენ: არასოდეს არ სცალიათ, სულ საქმეში არიან ყელამდე ჩაფლულნი. ის კიდევ ყოველთვის პოულობდა დროს... არა, კარგი გოგოა კატერინა, კარგი, ოღონდ ქმარი და ეგ ვერ არიან კარგად. მაინც რამ შეახვედრა ასეთი ქმარი — დაჯდება და მთელი დღეები ხმას არ იღებს... ძვალი და ტყავია. სულ რაღაცაზე ფიქრობს. გაუთავებლად აშრიალებს გაზეთებს, ამთქნარებს, არც გაგესაუბრება, არც გაგეხუმრება... ჯირკვივითაა, — ქალი ქმარზე დედამისთან საყვედურობდა..

დილით დედაბერი ადგა და ილიჩიხას მიადგა, ილიჩიხა მკითხაობდა; სიზმრებს ხსნიდა.

— შენა, დედილო, — წაუმღერა ღვთისმოსავმა ილიჩიხამ, — ერთი ეს მითხარი, შინ ხატი თუ გაქვს?

— მაქვს. მართალია, შიფონერში მიდევს, მაგრამ...

— ამოიღე იქიდან, დედილო, ამოიღე, ეგ სულის წაწყმედაა. ხატის ჩვრებში გამოხვევას, ჩაჩურთვას რა აზრი აქვს? ამოიღე და ჩამოკიდე, სადაც წესია. შენ ეგ კი უნდა იცოდე...

— ჩვენებს ველოდები, ადამიანო, ველოდები, კატკა უნდა ჩამოვიდეს, დამპირდა... სიძე კიდევა პარტიული მყავს, პოდა, ცერად დამიწყებს ყურებას.

— სიძე არა! სიძის რა საქმეა! ვის რას ეკითხები! ახლა არ არსებობს ასეთი კანონი... ღმერთს ნუ გაანაწყენებ, კუზმოვნა, მითქვამს შენთვის. ვისი რა საქმეა? შენ რა გწამს? ნახე, რამდენი მიკიდია ეგენი, ვის რა ხელი აქვს?! შენ კიდევ ხატი შიფონერში დაგიმალავს! როგორ არა გრცხვენია?!

— შენთან არავინ მოდის და რა გენაღვლება, რა! — გული მოუვიდა კუზმოვნას, — ყველა შენსავით კი არაა. ჩემთან ხალხი დაიარება, მიგდებული გგონივარ?

— შენ კი იცი, არც მე ვარ გაუხედავი და კარდაუკაკუნებელი ქალი, — იწყინა ილიჩიხამ, — ხალხი დაიარება ჩემთანო!.. ხედავთ, სახლის კარს უტალახებენ: წელიწადში ერთხელ ვიღაც ჩამოსდის და ამის გამო ხატს შიფონერში მალავს! სულ დაკარგა ამ ხალხმა სინდის-ნამუსი!..

— შენ ნუ ყვირიხარ მანდ, რა პირი დაგიბჩენია? რა გაღრიალებს? უდღეურო, შენ თუ უშვილძიროდ დარჩი, ვისი ბრალია? ბოლომისგან აღარა ხარ ქალი. შვილი გაგეჩინა, შე ქალო, და გეშველებოდა.

— თქვენ ხომ დააჩინეთ და მერე რა ხეირი გადგათ, რო...

— რა ხეირი აგიტყდა, ქალო! ერთი ამას დამიხედეთ! ჩემს ცხოვრებას აზრი ჰქონდა, შვილები დავზარდე და ვეცადე, ცოდნა მიმეცა... შენ კიდევ რისთვის ცხოვრობდი? მთელი შენი ცხოვრება ფუჭად გალიე, ახლა კიდევ დორბლსა ყრი აქა. ახლა რაღა დროს დაბოლმვაა?

— კი, ბატონო, დააჩინეთ ისინი, მაგრამ დადიხარ და დაწუწუნებთ: „ვანკა წერილს არ იწერება, კოლკა ფულს არ მიგზავნის, ის შეჩვენებულიო...“ თუ ასეა, რაღად დააჩინეთ? სულ არ დაგეჩინათ აჯობებდა — ღმერთი არ გიწყენდათ. მე პირობები არ მქონდა და არც გამიჩენია შვილები. ყველა თქვენსავით, კულაკებივით არხეინად კი არ ცხოვრობდა. ეგრეა!

— ვიცი, ზარმაცებს თავზე არასოდეს გადასდიოდათ. აბა, სად გინახავს, ნეტავ...

— და მაინც, ოცდაცხრა წელში ბეწვზე გადარჩით, კინაღამ განგაკულაკეს. ხომ არ დაგავიწყდა? მაინც რა გულმავიწყი ქალი ხარ, ა? ჩემმა ძმამ, არკაშამ გამოიდო თავი თქვენს დასაცავად. დაგავიწყდა? შემდეგ მამაჩემმა ვის მიურეკა სამი ცხვარი?.. ესეც დაგავიწყდა? რა მალე გავიწყდება მაინც ყველაფერი...

— შენა, კიდევ, რას გეამაყება, სიღარიბეში რომ ცხოვრობდი? ჩვენ ხომ ოცდაერთ წელში ყველას მთლად თანაბარი მიწები მოგვცეს. ოცდაცხრა წლისთვის კი ბოგანოები რატომ იყავით? თქვენ ხომ

უკვე საბჭოთა ბოგანოებად იქეცით, კოლექტივიზაციის დაწყებამდე ხომ ყოველ სულზე თანაბრად დაგვირიგეს მიწები.

— თქვენა!..

— არა, თქვენა!

გაწიწმატდნენ დედაბრები. უხეირო სოფლური წეს-ჩვეულებების ამბავი მოგეხსენებათ: ორი წაიჩხუბებს და მთელი ორივე მხარის ნათესაობას, მკვდარსა თუ ცოცხალს შეაწუხებენ. სხვანაირად არაფრით არ შეუძლიათ! ყველას გაიხსენებენ, ყველას და ერთი ხელის მოსმით უმოწყალოდ გააშავებენ.

დედაბერი კანდაუროვა შინ აღრენილი ბრუნდებოდა — კატკაზე წუხდა. ცუდადაა, ვერაა კარგადო, გული ეუბნებოდა.

საღამოს დედაბერი შვილისადმი წერილის წერად დაჯდა. დიდხანს წერდა. გადაწყვიტა გრძელი, ჭკუისდამრიგებლური წერილი მიეწერა.

„გამარჯობა, ჩემო გოგო კატია, და აგრეთვე სიძევ, ნიკოლოზ ვასილის ძევ, და ჩემო შვილიშვილებო, ანგელოზებო, შემოგევლოთ, ბებია თქვენი, კოლია და ანიუტკა! ნეტავ, როდის ჩამოხვალთ, თვალები ამომილამდა — გზას თვალს არ ვაცილებ: აგერ ახლა გამოჩნდებიან და აგერ ახლამეთქი, მაგრამ არადა არ ჩანხართ. კატია, შვილო, წუხელ ცუდი სიზმარი ვნახე. არ დაგიწყებ იმის აღწერას, რაც ვნახე, მაგრამ ძალზე ცუდი სიზმარი კი იყო. ჰოდა, ვიფიქრე, ვაითუ, კატიასა და ჩემს სიძეს კარგად ვერა აქვთ საქმე-მეთქი? შენა, კატერინა, ცოტა რაღაცეები გეშლება. ჭკუის დარიგებას დაგიწყებთ ადამიანი და გწყინთ. რათა გწყინთ, რათა? პირიქით კი უნდა იყოს, უნდა მითხრა, დედიკო, მადლობელი ვარ, რომ კარგი რამ მირჩიე-თქო. თავის დროზე ჩვენცა გვყავდა დედმამა, ზოგჯერ ჩვენც არ მოგვისმენია მათი რჩევა, მერე კი გვინანია, მაგრამ რაღა დროს.

იმ შენ ქმარს უთხარი, რომ ასე სიტყვაძვირი ნუ იქნება და მეტი ალერსიანობაც მართებს. თორემ... შენ ეგრე უთხარი: „კოლია, ვირისთაო, შენა, რა, ენა ხომ არ გადაგიყლაპავს? დამიჯექი ხოლმე, შე ყურუმსაღო, და მომიყევი რამერუმეები, თორემ იცოდე, ცალ-ცალკე მოგვიწევს წოლა-თქო“.

ფიქრში წასული დედაბერი დიდხანს იყურებოდა ფანჯარაში. ბნელდებოდა. სადღაც გარმონს უკრავდნენ. დედაბერს თავისი ქალიშვილობის დრო, თავისი ახალგაზრდა, მაგრამ მუდო ქმარი გაახსენდა. ივანე კანდაუროვი გამრჯე გლეხკაცი იყო, მაგრამ სულ ზეთი ჩამოსდიოდა პირისახეზე. რაც ისინი ცოლ-ქმარნი იყვნენ, ორჯერ ან სამჯერ თუ მიალერსებია ქალს, მორჩა. არ იბრიყვებდა, არ ამწარებდა, არა, მაგრამ არც ეგემებოდა. დედაბერს შეებრალა საკუთარი თავი, გული ჩაწყდა, ჩემი ცხოვრების დღენი რა ულიმღამოდ გავლიეო.

„მაშინ რომ დედაჩემისთვის ყური დამეგდო, მამაშენს როგორ გავყვებოდი. მეც ჩემს სიცოცხლეში ალერსი არ მღირსებია. მაგრამ მაშინ ასეთი ცხოვრება იყო: თითქოს საალერსოდ არც სცხელოდათ, მუშაობდნენ და მუშაობდნენ. არადა, რომ დავფიქრდებით, ვის რად უნდა ასეთი ცხოვრება? მუშაობა მუშაობაა, მაგრამ ადამიანი ქვა ხომ არ არი. თუ მიეფერები, სამჯერ მეტ საქმეს გაგიკეთებს. ცხოველი რომ ცხოველია, რომელიც გინდა აიღე, იმასაც უყვარს ალერსი, ადამიანს — მით უფრო. შენა, ესე უთხარი, თვითონ ხომ სულ ცხვირჩამოშვებული ხარ, შენი შემხედვარე შვილებიც ცხვირჩამოშვებულნი ივლიან-თქო. ეგენი პატარები არიან და სულ მამას უყურებენ, ყველაფერში მამას ბაძავენ და ემსგავსებიან-თქო. მერე მე, ამისთანა ენაჩავარდნილ, გაუცინარ ხალხთან რა გავაკეთო-თქო... მე რა, საკუთარ თავს ხომ არ დავუწყებ ლაპარაკს. სხვა რა გზა მექნება-თქო? მაინც ამისთანა რა ფიქრია, რომ ამდენი ხანი გაუთავებლად ფიქრობ-თქო... შენა-თქო, უთხარი, ცოტა ოჯახისათვის შეიმსუბუქე მაგ თავი-თქო. ამდენს რას ფიქრობ, რაზე ფიქრობ-თქო? ამდენი ფიქრით დიდი ნაჩალნიკი რომ გამხდარიყავი, კიდევ ჰო, თორემ რა გამოდის, არავინ არაფრად გაგდებს, კის გაგდებს რამედ-თქო. აბა, აუტკივარ თავს ტყუილად რატომ იტკივებ, თუკი ეგ ფიქრები საქმეში წასადეგი არაა-თქო. შეეშვი ამდენ ფიქრს, არ გინდა-თქო. შენ რა, იფიქრო, იფიქრო, მე კი გვერდში მოგიჯდე და თვალებში გიყურო-თქო? წადი, დამეკარგე, შე ვირისთაო-თქო! მე-თქო, კუზიანი არა ვარ და ბრუციანი, რომ სულ გვერდით გეჯდე-თქო. მე-თქო, აგერ, ახლა, ამწუთში, მოვირთე-მოვიკაზმები და, იცოდე, ცეკვებზე წავალ-თქო. კაი ბიჭსაც დავითრევ-თქო, მიდი, მიდი. ეგრე უთხარი, ეგრე, საცემრად რომ გამოიწევს, მილიციაში გავარდი და იმის ოხტში ამოვლენ. ეგ თვითონ მილიციაში რომ მუშაობს, ბევრს არაფერს ნიშნავს. თავზე ხელს არ გადაუსვამენ. ახლა იმათ თავის ნებაზე არ უშვებენ. ძველი დრო კი აღარაა. წერაც რომ მეზარება, ეგ ოხერი! არა-თქო უთხარი, შე ყრუ-მუნჯო მაიმუნო, ისე აგამღერებ და აგათამაშებ, სულ თავ-ბედი გაწყევლინო-თქო. ისე გაგიხდი საქმეს, რომ ქუჩაში ყურყუტებდე და სამსახურიდან სულ შენი ფეხით მოგყავდე-თქო. თორემ ეს რა ხდება-თქო. აგაჭიკჭიკებთ, აგალაპარაკებთ-თქო, შენს ლოდივით სიმძიმეს თუ არ მოიშლი, მოუსვი აქედან. ჯანდაბამდე გზა გქონია-თქო. ოთხივ მხრივ თავისუფალი გზა გაქვს, წადი და იკითხე ის შენი გაზეთები-თქო. დაჯექი და, რამდენიც გინდა, იმუნჯე და იყრუვე-თქო. შენისთანა ბაიყუშებს კი მოვუვლით ჩვენ, მოვუვლით-თქო: ერთი თვე მიეცი დრო. თუ არ გამოსწორდება, კინწისკვრით გააგდე სახლიდან! თან საფეხურები ითვალოს, ისე წავიდეს“.

უცებ დედაბერმა წარმოიდგინა, რომ ამ წერილს მისი პირმოკუმული სიძე კითხულობდა... გაეცინა და ფანჯარაში გაიხედა. გარმონი ისევ უკრავდა. კარგად უკრავდა. ვიღაც უცნობი ქალი ხმადაბლა მღეროდა. ღმერთო, რა კარგია სიცოცხლეო, ფიქრობდა დედაბერი. შენ კიდევ დამჯდარხარ და აშრიალებ და აშრიალებ გაზეთებს. ზიხარ და გაუთავებლად ფიქრობ რაღაცას... რა უნდა მოიფიქრო ვითომ? ვერაფერსაც ვერ მოიფიქრებ, ჯობდა გარმონზე დაკვრა გესწავლა.

„წაიკითხე, სიძევ ბატონო, წაიკითხე, დასამალი რა მაქვს, აგერ გეტყვი: მთელი სიცოცხლე ასე რად უნდა იბღვირებოდე, დაგავიწყდა, რომ ყველანი სიკვდილის შვილები ვართ? ყური მიგდე. მთელი ჩემი სიცოცხლე შენისთანა კაცის გვერდით გავლიე. მე აქ შენზე რაღაც ისეთი რამეები დავწერე, მაპატიე, თუკი რაიმე გაწყენინე, მაგრამ დაუფიქრდი, რაც გითხარი, ჭკუას მოუხმე. აბა, თქვენი ცხოვრება ცხოვრებაა!.ის გოგო შვილია ჩემი, ჩემი სხეულის ნაწილია, მეცოდება, გული მეწვის. მინდა გაიხაროს, იხალისოს... შენ კიდევ, რა დაგემართა, რა ბაიყუშობა აგიტყდა! რა გაქვს ამდენი საფიქრალი? ხელფასი კარგი გაქვს? კარგი გაქვს! ბინა კარგი გაქვს? კარგი გაქვს. ბავშვებიც ჯანმრთელი გყავს... აბა, რა ფიქრებს მისცემიხარ? იყავი და იხალისე, იმხიარულე და სხვაც ამხიარულე. შენს სამსახურზე კი არ გეუბნები, იმათ შენ არაფრით გაახარებ, შენთვის ყველაზე ახლობელ ადამიანებზე გამბობ. აი, მე გელოდებით, გელოდებით, მაგრამ არ ჩანხართ. და შენ ახლა თუ ისევ ცხვირჩამოშვებული ჩამოხვალ, ქაფქირს გითავაზებ მაგ თავში, ჰოდა, იმ ფიქრებს გაგიფანტავ. გეხუმრები, შე კაი კაცო, ხომ უნდა მიხვდე, მაგრამ, დალოცვილო, უნდა მოერიო შენს თავს. ჩქარა ჩამოდით, აქაურობასთან რომელი კურორტი მოვა. ნუ გამიბრაზდები, განა მე კი არა ვფიქრობ, არ ვფიქრობ კი არა, იმდენს ვფიქრობ, იმდენს, რომ შენ მონაგონი ხარ... მაგრამ მე საფიქრალი და სადარდებელი, იცოცხლე, მაქვს, მაგრამ შენი საქმე სხვაა. ღმერთო, ამათ უნდა იხალისონ და იმხიარულონ, მაგრამ რომ არ ესმით! მოკლედ, ჩამოდით! კატია, თუ წამოხვიდეთ, საფარდე ჩითი მიყიდეთ, ჩვენთან არ იშოვება. ცისფერი მიყიდე. დილით რომ გაიღვიძებთ, ოთახში საოცარი სინათლე იქნება. პეტია იწერება, ამ ზაფხულს ჩამოსვლა არ მიხერხდებაო. იგორი შეიძლება ჩამოვიდეს. ეგ ვერაა კარგად. კოლკა, ჩემო ოქრო შვილიშვილო, მამიკოს და დედიკოს უთხარი, ჩამოვიდნენ. აქ კარგი ველოსიპედი იყიდება. დაჯექი და ისრიალე. სათევზაოდაც ივლი. ამასწინათ მივდივარ და ვხედავ: ბიჭებს გრძელი აცმები მოაქვთ. ჩამოდით, ჩემო ძვირფასებო, ქრისტეს მოსვლასავით გელოდებით. დიდი ხნის სიცოცხლე არ დამრჩენია, ერთი გამიხარო მაინც. მარტო ყოფნა მიჭირს, დრო ზოზინით მიდის, ჩამოდით.

გკოცნით ყველას. ოლია ბაბო“.

დედაბერმა წერილი გვერდზე გააჩოჩა და ისევ ფანჯარაში გაიხედა. გარეთ უკვე თითქმის არაფერი ჩანდა. მხოლოდ შუქი გამოდიოდა ფანჯრებიდან... თბილი, მაძღარი სურნელი მოდიოდა ბოსტნებიდან და თბილი, ოდნავ სიგრილეშემდგარი მტვრის სუნი ტრიალებდა.

აქ, ამ ქუჩებში, გაიარა ცხოვრებამ. დიდი ხნის წინათ დაიწყო იგი? ღმერთო! არაფერი მესმის, არაფერი გამეგება. დიდი ხნის წინათ ვიყავი ახალგაზრდა? აი, აქვე, ახლოს, ერთი პატარა ჩიხი დღემდეა შემორჩენილი: იქ ვანკა კანდაუროვმა ხელი სთხოვა... ღმერთო, ყველაფერი ეს განმეორდებოდეს, ყველაფერი თავიდან დაიწყებოდეს! მერე რა, პირქუში რომ იყო, რა მისი ბრალი იყო, ცხოვრება იყო ასეთი, ცხოვრება: გლეხი თუ შრომობდა, ჭკუის დაკარგვამდე თუ არ სვამდა და არ ჩხუბისთაობდა, კაიკაცად ითვლებოდა. ვლასოვი უფრო გამრჯე იყო, მაგრამ სვამდა. რაც იყო, იყო... რა მოხდა მერე? სხვა არც არაფერი მინდოდა. ყველაფერი რომ თავიდან დაწყებულიყო... ნეტავ...

დედაბერმა ვერც შეამჩნია, რომ ტიროდა. ეს მაშინღა შენიშნა, როცა ლოყაზე კურცხალმა მოუღიტინა. ცრემლი მანდილის ბოლოთი მოიწმინდა, ადგა და ლოგინის გაშლას შეუდგა, დღეს დავიძინებ და ხვალ ვნახოთ, რაც იქნებაო. იქნებ, ჩამოვიდნენ კიდეც, რა იცი?!.

— გამოვყრუვდი, ეს ოხერი! — ჩაილაპარაკა, — თავიდან არ მოვინდომე სიცოცხლე?.. ქალი ვარ, მარა რა ქალი!









ეროვნული ბიბლიოთეკა

# კიდევ მრავალგზის!

**ნოდარ გურაბანიძე**

ხალისით, სიცოცხლით, მხიარულებითაა სავსე „კავკასიური ცარცის წრე“. საქართველოში, ალბათ, არავის იმდენჯერ არ უნახავს ეს სპექტაკლი, რამდენჯერაც მე, და კიდევ ამდენჯერვე რომ ვნახო, არ მომბეზრდება.

სპექტაკლის პირველი ფრაზიდან: ბერტოლდ ბრეჰტი — „კავკასიური ცარცის წრე“ — უკანასკნელამდე: „...ეს ცხოვრება ეკუთვნის იმას, ვინც სიკეთეს, სიკეთეს, სიკეთეს სთესავს“. — მაყურებლის წინაშე გათამაშდება სევდიანი და მხიარული იგავი, ორი უბრალო, კეთილი და ბრძენი ადამიანის გრუშესა და აზდაკის შესახებ. ეს არის ცხოვრება იმ ადამიანებისა, რომლებმაც „სხვისთვის იცხოვრეს“ და ამ პარადოქსული ისტორიის ფონზე რეჟისორი რობერტ სტურუა მხიარულ და ჭკუისსასწავლებელ კარნავალს მართავს, რომელიც ჩვენთვის უხილავ წრეზე ბრუნავს, რომელიც ხანდახან ჩერდება ხოლმე, რათა ამ მხიარულებას იქით სერიოზული ამბები ვჭვრიტოთ, ხოლო შემდეგ კვლავ განაგრძობს სწრაფ მდინარებას.

ეს სპექტაკლი მიმზიდველია არა მარტო იმით, რომ გ. მესხიშვილის მიერ შექმნილ თეატრალურ გარემოში, გ. ყანჩელის მშვენიერი მუსიკის რიტმებზე ჩვენი მსახიობები პლასტიკურად მოძრაობენ, ცეკვავენ, რეჩიტატივს წარმოთქვამენ თუ მღერიან, არამედ მიმზიდველია თავისი „მსუბუქი“ ჰარმონიულობით, მთელი სპექტაკლის ფორმის და მსახიობთა თამაშის ილუზიური იმპროვიზაციულობით.

მართლაც, ერთბაშად „აფეთქებული“ ეს სპექტაკლი კაცს შეიძლება რობერტ სტურუას წმინდა წყლის იმპროვიზაცია ეგონოს. მაგრამ დააკვირდით: როგორი ზუსტია მსახიობის ყოველი მოძრაობა, პლასტიკური გარინდება, სცენის შემობრუნება, მუსიკალური ფრაზა, პაუზა, ფარდის დაშვება, რა თეატრალურად აუცილებელია პერსონაჟის შემოყვანა, მისი გაყვანა, რა შეუმცდარად არის გათვალისწინებული ყოველი დეტალი ამ გრანდიოზულ პანოში, რომელიც გამუდმებით იცვლება და ისეთივე მრავალფეროვანია, როგორც თვით ცხოვრება.

ეს შთაბეჭდილება იმპროვიზაციისა სათავეს იღებს რეჟისორისა და მსახიობებისაგან მთელი ამ სამყაროს თეატრალურ განცდაში და თამაშის უჩვეულო სიმსუბუქეში, რომელიც იუველირის თავდადებული შრომითაა მიღწეული.

თეატრალური წარმოსახვის ამ თამაშში ძალდაუტანებლად ამოდის ტრაგი-გროტესკული თუ ტრაგი-ფარსული ფიგურა აზდაკისა, რომლის მხიარული მიმურის მიღმა გონიერი, ტრაგიკული სახე მოჩანს — იგი ატარებს ხალხის სიბრძნისა და სიკეთის ტვირთს, ხალხისა, რომელსაც ისე ასამართლებენ, სასამართლოზე არც ასწრებენ.

ასეა შერწყმული ამ სპექტაკლში კარნავალური და ცხოვრებისეული პარადოქსი და რეალობა, სიბრძნე და სიცრუე ყოფიერებისა, დრამა და ექსცენტრიადა, ფარსი და ტრაგედია. ამის გამო იზიდავს ყველას ეს სპექტაკლი და ავსებს სცენური თამაშის თანამონაწილის სიხარულით.

მხურვალედ ვულოცავთ ამ გამარჯვებას საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატებს: დამდგმელ რეჟისორს რობერტ სტურუას, მხატვარს გიორგი ალექსი-მესხიშვილს, მსახიობებს რამაზ ჩხიკვაძეს, გურამ საღარაძეს, იზა გიგოშვილს, ჟანრი ლოლაშვილსა და ჯემალ ღაღანიძეს.

სრულიად დარწმუნებული ვართ, რომ ისინი კიდევ მრავალგზის გაახარებენ ქართველ ხალხს!

# გულითადი მილოცვა

**ანტონ წულუკიძე**









დიდი ტრადიცია აქვს ჩვენში ხელოვანთა მაღალ წოდებებს და ყოველთვის მაღალი ყოფილა ჩვენს ხალხში მათ მფლობელთა ავტორიტეტი. ის, რომ ამჯერად შოთა მილორავას მიენიჭა საქართველოს სსრ სახალხო არტისტის წოდება, უდაოდ კანონზომიერია. ეს მინიჭება აღიარებაა იმ საკუთარი, გამორჩეული ადგილისა, რომელიც ამ ჭეშმარიტად პოპულარულმა კომპოზიტორმა დაიმკვიდრა ჩვენს კულტურულ ცხოვრებაში. მისი შემოქმედება მუდამ ფართო მსმენელისაკენაა მიმართული და სავსეა ადამიანური სითბოთი. შოთა მილორავა მთავარი ბურჯთაგანია ქართული მუსიკალური კომედიის თეატრისა; დიდმნიშვნელოვანია მისი როლი ეროვნული ოპერეტის დაფუძნებაში, მის განვითარებასა და დავაჟკაცებაში. არაერთ მის ოპერეტას მოუპოვებია ხანგრძლივი სიცოცხლე, შემოქმედებით სიუხვეშიც ამ მხრივ მას დღემდე ბადალი არ ჰყოლია და დღესაც დაუცხრომლად იღწვის მისი სათაყვანო ჟანრისათვის.

საქართველოს სახალხო არტისტები გახდნენ ბიძინა კვერნაძე და სულხან ნასიძე. თითქოს ახლახან იყო, ორივე მათგანი ქართველ კომპოზიტორთა ახალგაზრდულ ავანგარდს რომ მიუძღოდა, მაგრამ უკვე მეოთხედი საუკუნის მანძილზე მათ განვლეს მუსიკალური ხელოვნების რთული, თანამედროვე ძიებებით აღსავსე გზა. დღეს ისინი სიმფონიური, ინსტრუმენტული ხელოვნების თვალსაჩინო ოსტატებად გვევლინებიან და ღირსეულად იცავენ ქართული მუსიკის პრესტიჟს საქართველოს გარეთაც.

ს. ნასიძის მუსიკა მკაფიო დრამატული შინაარსითაა აღბეჭდილი, განსაკუთრებით ნაყოფიერი გახდა სიმფონიის სფეროში (ექვსი სიმფონიის ავტორია).

ბ. კვერნაძის მუსიკას ყოველთვის დაჰკრავდა სიხალისისა და სინატიფის სურნელება და ამით პოვებდა მსმენელთა სიმპათიებს. დღეს მის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი სიახლეა — კომპოზიტორმა დაამთავრა პირველი საოპერო ქმნილება — „შუშანიკის წამება“. ჩვენც მოუთმენლად ველოდებით მის აჟღერებას!

ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეები გახდნენ:

ვაჟა აზარაშვილი — ფრიად ენერგიული პროფესიონალი, რომლის შემოქმედება სა-

სურათებზე (მარცხნიდან): ბიძინა კვერნაძე, შოთა მილორავა, სულხან ნასიძე, ვაჟა აზარაშვილი, იოსებ კეჭაყმაძე, ფელიქს ღლონტი, ევგენი მაჭავარიანი.

# უძველესი ძეგლი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ ჩვენი სასიქადულო მეცნიერის აკაკი შანიძის რედაქტორობით გამოსცა ძველი ქართული ენის კათედრის შრომების ოცდამეორე ტომი — „ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია". ტექსტი მოამზადა და ვრცელი გამოკვლევა დაურთო პროფესორმა ივანე იმნაიშვილმა.

„ჩვენი ოთხთავი არის არა მარტო ქართული ენის, მისი ისტორიის უძვირფასესი ძეგლი, — ვკითხულობთ წიგნის წინასიტყვაობაში, — არამედ აქედან ღებულობს სათავეს ქართული ლიტერატურა, საქართველოს ისტორია, ქართული ეთნოგრაფია, ხელოვნება (განსაკუთრებით მხატვრობა) და ბევრი სხვა ჰუმანიტარული სამეცნიერო დისციპლინა".

ქართული ოთხთავი პირველად გამოსცა ვახტანგ მეექვსემ 1709 წელს. იგი ეყრდნობოდა გიორგი მთაწმიდლის რედაქციას

პროფესორი ივანე იმნაიშვილი ურბნისის, პალესტინის, ვანის, ეჩმიაძინისა და გელათის ოთხთავების ხელნაწერთა აღწერილობის შემდეგ მკითხველს აცნობს მის ძველ გამოცემებს (ვახტანგ მეფის, ვ. ბენეშევიჩის, ა. ხახანაშვილ-ე. თაყაიშვილისა და რ. ბლეიკისას და აღნიშნავს, რომ „სამამულო ომის მძიმე პერიოდში, გაჭირვებისა და მატერიალური სივიწროვის ჟამს, მზადდებოდა ქართული ოთხთავის ხელახალი, ყველასათვის ხელმისაწვდომი, მაღალმეცნიერულ დონეზე შესრულებული გამოცემა". ეს საშვილიშვილო საქმე განახორციელა აკაკი შანიძემ 1945 წელს. ამ წიგნში წარმოდგენილი იყო შატბერდში გადაწერილი სამი ძველი ხელნაწერი — ადიშისა (897 წ.), ჯრუჭისა (936 წ.) და პარხლისა (973 წ.).

დღეს მკითხველის ხელთაა ოთხთავის ორი ბოლო რედაქციის ტექსტები (მეათე-მეთერთმეტე საუკუნეებისა), რომლებიც ეკუთვნის ეფთვიმე და გიორგი მთაწმიდლებს. ორივე დამუშავდა ათონის ქართულ ლავრაში.

---

**ოცარი ინტენსივობით ითავსებს ინსტრუმენტული მუსიკის მრავალფეროვან, თანამედროვე ოსტატობით გამსჭვალულ სფეროს და საესტრადო-პოპულარული მუსიკის მასობრივ ფორმებს. მისი პოპულარიზაციისათვის საკმარისი იყო თუნდაც „დინამო, დინამო, დინამო"...**

**ფელიქს ღლონტი — უდაოდ ნიჭიერი, საინტერესოდ მოაზროვნე, ემოციურად დატვირთული, ამასთან მეტად ნაყოფიერი კომპოზიტორი; განსაკუთრებით გაიხმიანა მისმა ბოლო — მეექვსე სიმფონიამ (ავტორია ორი ოპერისა, გამომზეურებას რომ ელოდებიან).**

**დაბოლოს, იოსებ კეჭაყმაძე — ბოლო წლების ქართული მუსიკის ელვარე სიახლე და იმედი! მისმა საგუნდო მუსიკამ სენსაციური რეზონანსი ჰპოვა. დიდი ტრადიციების ეროვნულ-საგუნდო შემოქმედებას მან თავისი საკუთარი სიტყვა შემატა მახვილგონივრული გამომგონებლობის სიუხვით, ვირტუოზული ფეიერვერკებით. იგი ღრმად არის დაკავშირებული ეროვნულ ტრადიციებთან, ამასთან ეფექტურად აფართოებს და ავითარებს საგუნდო ხმოვანების პალიტრას...**

**ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება მიეკუთვნა მუსიკისმცოდნე ევგენი მაჭავარიანს, რომელიც განსაკუთრებით ცნობილია ტელემაყურებელთათვის საესტრადო მუსიკის პროპაგანდის სფეროში.**

**ვუსურვებთ თითოეულ მათგანს ახალ შემოქმედებით წარმატებებს!**

---

# რუსთაველი თუ რუსთველი?



აკაკი შანიძე,
აკადემიკოსი.

**ბევრჯერ მითქვამს და მიწერია, რომ ჩვენი სათაყვანებელი პოეტი შოთა, რომელმაც შექმნა უკვდავი „ვეფხისტყაოსანი", რუსთველი იყო და არა რუსთაველი, როგორც ახლა გავრცელებულია საყოველთაოდ. თვით შოთა თავის თავს რ უ ს თ ვ ე ლ ს უწოდებს. პოემის შესავალში იკითხება:**

დავჯე, **რუსთველმან** გავლექსე,
მისთვის გულს ლახვარ-სობილი,
აქამდის ამბად ნათქვამი,
აწ მარგალიტი წყობილი.

**მომდევნო სტროფში კი იკითხება:**

მე, **რუსთველი**, ხელობითა
ვიქმ საქმესა ამათ დარი.

**გენიოსი პოეტი რომ რუსთაველი ყოფილიყო, იგი ასე დაწერდა „რუსთაველი ხელობითა".**

**პოემის ბოლოს ნათქვამია:**

ამირან დარეჯანისძე
მოსეს უქია ხონელსა,
აბდულ მესია — შავთელსა,
ლექსი მას უქეს რომელსა,
დილარგეთ — სარგის თმოგველსა,
მას ენა-დაუშრომელსა,
ტარიელ — მისსა **რუსთველსა**,
მისთვის ცრემლ-შეუშრობელსა

**ასევე უწოდებდნენ მას ყველანი მომდევნო საუკუნეებში.. მაგ, ნოდარ ციციშვილი (მე-17 ს-ის I ნახ.) თავის ნათარგმნი „ბარამგურიანის" შესავალში ამბობს:**

**რუსთველს** არ დარჩა უთქმელი,
რაც ოდენ მისწვდა გონება.
მისის ლექსების მკითხველსა
სხვა რადმცა მოეწონება?

(„შვიდი მთიები").

**არჩილ მეფე თავის „თეიმურაზ მეფისა და რუსთველის გაბაასებაში" ხშირად ახსენებს ჩვენს სასიქადულო პოეტს და ყოველთვის მას რუსთველს უწოდებს.**

**ორიოდე მაგალითი:**

ნახეთ, **რუსთველი** მეფესა
რა ტკბილად გასიტყვებოდეს (60)
**რუსთველო**, ყური მამიპყარ,
გვადრიან მე და შენაო (61).
ჰე, **რუსთველო**, მოიცადე,
დადეგ, სიტყვა შეინახე (131)
**რუსთველმა** სთქვა: კაცის-კაცად
საქმე რამე დიდი ძისა (35).
ნანუჩას **რუსთველის** ნათქვამში
ბევრი რამ ჩაურევია,
საბრალოს ვერ შეუწყვია,
წმინდა რამ აუმღვრევია.
**რუსთველი** სიბრძნის ტბა არის,
არცა თუ იგ მორევია (26).

**„ვეფხისტყაოსანი" პირველად ვახტანგ მეფემ გამოსცა თავის დაარსებულ სტამბაში 1712 წელს და ბოლოში დაურთო თავისი „თარგმანი" (ე. ი. ახსნა-განმარტება), სადაც ხშირად ახსენებს პოემის ავტორს; მაგ., „რაც რუსთველისაა, იმას გარდა არა მითქვანს რა"; „თავათ რუსთველის დროს ქალი ბატონობდა", „სჭირს რუსთვლის ლექსსა" (გ); „რუსთველი შემძლე და კაიკაცი ყოფილა" (ივ); (თამარ მეფემ) „უბრძანა მის მდივანს რუსთველს, ქართულის ენით კაი ლექსები თქვიო" (ივ) და სხვა.**

**შეიძლებოდა სხვა ავტორებიც დაგვემოწმებინა, მაგრამ ესეც კმარა. „ვეფხისტყაოსნის" ავტორი იყო რ უ ს თ ვ ე ლ ი, რომელიც ასე იბრუნვოდა: რუსთველი, რუსთველმა, რუსთველს, რუსთვლისა ან რუსთველისა, რუსთველო.**

**ფორმა რ უ ს თ ა ვ ე ლ ი პირველად იხმარა ანტონ კათალიკოსმა (1720-1788), რომელმაც ბევრი კარგი საქმე გააკეთა, მაგრამ ენის საკითხში ბევრი დააშავა, რაც მოთხრობილი მაქვს ერთ გამოკვლევაში „ანტონ I-ის გავლენა სალიტერატურო ქართულზე" (ძველი ქართული ენის კათედრის შრომები. 9. 1962). სხვათა შორის, კათალიკოსი არ კუმშავდა ზოგიერთ სახელს, მაგ., ხმოვან სიტყვისაგან ხმოვანისა, ხმოვანითა და უხმოვანო ფორმებს ხმარობდა; წილკანი სოფელია მცხეთის ახლოს, ეს სახელი ძველადაც იკუმშებოდა და ახლაც იკუმშება: წილკნისა, წილკნელი, მაგრამ კათალიკოსს უწერია: „მამისა ჩუენისა ისე წილკანის ეპისკოპოსისა"; შოთასადმი მიძღვნილ იამბიკოში ის წერს: „თვის შოთა რუსთაველისა". აი სად არის სათავე ჩვენი უდიდესი პოეტის ვინაობის სახელის შერყვნისა! ეს ანტონის მიერ შექმნილი ფორმა, შემდევში ზოგმა გაიზიარა და ქართულ მწერლობაში რუსთველის გვერდით რუსთაველიც გაჩნდა, გავრცელდა და შემდეგ დამკვიდრდა. იყო ცდა სწორი ფორმის აღდგენისა, მაგრამ, სამწუხაროდ, სათანადო შედეგი არ მოყვა. შერყვნილი ფორმა ქართულიდან რუსულში გადავიდა და სხვა ენებშიც.**

**სამწუხარო ამბავია, მაგრამ ფაქტია, რომ გენიოს პოეტს, რომელმაც კაცობრიობის საგანძურში ლიტერატურის შედევრი შეიტანა, იმდენი პატივი ვერ ვეცით, რომ მის ვინაობის სახელს კი არ ვცვლიდეთ, არამედ იმ ფორმით ვხმარობდეთ, როგორც თვითონ წერდა და მის დროს ითქმოდა.**

**1979.**

# ქართული სპორტი-79

ეროვნული ბიბლიოთეკა

არჩილ გოგელია

1979 წელი. როგორი იყო ქართული სპორტისათვის, რა მიღწევებით გაგვახარა, რა ჩრდილოვანი მხარეები წარმოაჩინა? ახალი წლის ზღურბლთან სპორტის მოყვარულთა და სპეციალისტთა წინაშე სწორედ ამგვარი კითხვები ისმის. შეძლებისდაგვარად თვალი გადავავლოთ მარათონულ სეზონს...

თუ ვიტყვით, რომ წლევანდელი სეზონი ზედმიწევნით მრავალფეროვანი და მოვლენებით მდიდარი იყო, იმას ნიშნავს, ჩვენ მხოლოდ ნაწილობრივ გავიაზროთ ამ სეზონის მნიშვნელობა. იგი, უწინარეს ყოვლისა, საბჭოთა სპორტის გენერალური რეპეტიცია გახლდათ უდიდესი ასპარეზობის — ოლიმპიური თამაშების წინ. ასე უნდა აღვიქვათ რესპუბლიკის წამყვან სპორტსმენთა გამოსვლებიც. და თუ საქართველოს ათლეტთა წლევანდელ მიღწევებს ოლიმპიურ საზომს მივუყენებთ, დავინახავთ, რომ ჩვენი სპორტი თავის წიაღში კვლავინდებურად ზრდის საიმედო რეზერვს. გავიხსენოთ, ვის ძალუძს იყოს ოლიმპიური თამაშების პოტენციური მონაწილე. ჩვენდა სასიხარულოდ, ამ მხრივ სპორტული გეოგრაფია სახეობათა მიხედვით საკმაოდ ვრცელია.

როგორც ყოველთვის, ოლიმპიადის უდავო კანდიდატებად შეგვიძლია ვიგულოთ სპორტის ეგრეთ წოდებული სათამაშო სახეობათა წარმომადგენლები. თვით კალათბურთი და ხელბურთიც კი, რომელთა წარმომადგენლებმა ბოლო წლებში შედარებით უკან დაიხიეს, მომავალში გარკვეულ იმედს გვისახავენ. რაც შეეხება ფეხბურთს, საბჭოთა კავშირის ამჟამინდელი თასის მფლობელი თბილისის „დინამო" უთუოდ წარგზავნის თავისი რიგებიდან წამყვან მოთამაშეს.

სეზონის თავისებურ აღმოჩენად, სასიამოვნო მოულოდნელობად უნდა მივიჩნიოთ რესპუბლიკის წყალბურთელთა აღზევება საკავშირო სარბიელზე. ჩვენი გუნდი სპარტაკიადის შედეგების მიხედვით იმ ჯარისკაცს ჰგავს, რომელმაც საგმირო საქმე ჩაიდინა, დაიძინა და გენერლად გამოიღვიძა. უფრო სწრაფი პროგრესი ბოლო ხანებში არც ერთ სახეობაში არ გვქონია. ისღა დაგვრჩენია, რომ წყალბურთელთა წარმატების „საიდუმლო" შევისწავლოთ, განვაზოგადოთ, სხვა გუნდებისათვის და სპორტსმენებისათვის საცნაური გავხადოთ.

სიტყვამ მოიტანა და აქვე მინდა ყურადღება გავამახვილო ერთ ფრიად საჭირბოროტო და აქტუალურ პრობლემაზე: არც მიღწევების, არც წარუმატებლობის შემთხვევაში ჩვენ სათანადო ანალიზს არ ვაკეთებთ. არის მხოლოდ ხოტბა ან ჩივილი, საქმიანი, პროფესიული საუბარი კი მიღწევა-ნაკლოვანებათა მიზეზების შესწავლისა და გამოწვლილვითი ანალიზის თვალსაზრისით თითქმის არ გვხვდება. რით უნდა აიხსნას უკვე ტრადიციად ქცეული ასეთი პოზიცია? სპეციალისტთა დაბალი კვალიფიკაციით? მაგრამ ჩვენ გვყავს ასეთი სპეციალისტები. ჟურნალისტთა კადრების უკმარობით? ისინი არიან და საკმაოდ ბევრნიც. ერთი სიტყვით, ასეთი უცნაური დუმილი არ არის გამართლებული. რასაც წყალბურთზე ვამბობთ, უფრო სწორად, პრესის დამოკიდებულებაზე მისდამი, მეტნაკლებად ყველა სახეობას შეეხება.

ირინე გაბაშვილი.





თასისათვის ბრძოლაში.

ასე დაგვრჩა ანალიზის გარეშე ისეთი გრანდიოზული ფორუმი, როგორიცაა საბჭოთა კავშირის ხალხთა VII საზაფხულო სპარტაკიადა. არადა, სპარტაკიადა ის შეუცდომელი საზომი იყო, რომელმაც ობიექტურად განსაჯა ჩვენი სპორტის დღევანდელი რეალური ძალა, მისი წარმატებანი და ჩრდილოვანი მხარეები. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სპორტი მაყურებლისათვის, მისი მრავალრიცხოვანი ქომაგებისათვის არსებობს და გულშემატკივრისათვის სულ ერთი არ არის, ეცოდინება თუ არა რითაა გამოწვეული, მაგალითად, რესპუბლიკის სპორტული დელეგაციის ერთი საფეხურით უკან დაწევა წინა სპარტაკიადასთან შედარებით. საზოგადოებრივი აზრი მოთმინებით ელოდა პირუთვნელ საუბარს ამ კარდინალურ პრობლემაზე, მაგრამ დღემდე ეს არავის გაუკეთებია. არადა, სპარტაკიადამ ჩვენს წინაშე დააყენა საკითხები, რომლებიც დადებითად უნდა გადავჭრათ უახლოეს წლებშივე, თუ არ გვინდა ქართული სპორტის სიმბოლურმა ლოკომოტივმა სვლა შეანელოს.

რა საკითხებია ეს? გასარკვევია, რად შეიძლება მივიჩნიოთ ჩვენი სპორტული დელეგაციის მერვე ადგილი სპარტაკიადაზე — წინგადადგმულ ნაბიჯად თუ უკან დახევად? როგორ გავართვით თავი საკითხთა საკითხს — მწვრთნელთა და სპორტსმენთა კადრების აღზრდას? გადავჭერით თუ არა ორგანიზაციული ხასიათის პრობლემები? ესაა უმთავრესი და ძირითადი, რაზედაც, საზოგადოდ, მთელი ჩვენი სპორტული ცხოვრებაა დაშენებული. აი, ამ პრობლემების გამოკვლევა-შესწავლა, მათი ანალიზი და განზოგადება უპირველესი ამოცანა.

რადგან ამაზე წამოვიწყეთ საუბარი, გამოვთქვათ კიდეც ჩვენი თვალსაზრისი. ამისათვის მცირეოდენი ექსკურსი დაგვჭირდე-



მაია ჩიბურდანიძე.

ბა. 1971 წლის სპარტაკიადიდან მოყოლებული, ჩვენ თითო საფეხურით უკან ვიწევდით. 1971 წელი — VI ადგილი, 1975 — VII, 1979 — VIII. როგორც ხედავთ, პროგრესის ნაცვლად ქართულ სპორტს გამუდმებით უხდებოდა მოპოვებული პოზიციების დათმობა. მაგრამ ამან არ უნდა გვაფიქრებინოს, თითქოს ბოლო წლებში არავის ანაღვლებდა ჩვენი სპორტის შედეგობრივი პროგრესი. პირიქით, ისევე როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში, სპორტშიც დაბერა განახლების სიომ.

ჩვენ ამჟამად ჯერ კიდევ ძველ ვალებს ვიხდით: ერთდროულად ვეძიებთ ახალ-ახალ გზებს, საშუალებებს, რეზერვებს მომავალ მიღწევათა საფუძვლის ჩასაყრელად. ავიღოთ თუნდაც წლევანდელი სპარტაკიადა. მისი ცალკეული შედეგები გვაფიქრებინებს, რომ ქართული სპორტი სწორ გზაზე დგას; შორს არ არის ის დღე, როცა იგი დაკარგულ პოზიციებს დაიბრუნებს. გავიხსენოთ ჩვენი შესანიშნავი ფეხბურთელების, წყალში მხტომელების, მხატვრული ტანვარჯიშის ოსტატების, მესტენდურების, მოკრივეების, ძიუდოისტების, წყალბურთელებისა და ზოგიერთი სხვა სახეობის წარმომადგენელთა წარმატებანი.

დიახ, შედეგების მიხედვით ჩვენ სულაც არ გვმართებს გულაცრუება. პირიქით, ქართული სპორტი წინ იყურება, ახალ ჰორიზონტებსა და სიმაღლეებს ზვერავს. ოღონდ მისი განვითარების ტემპი ჯერ კიდევ რამდენადმე ჩამორჩება მისივე ძირითადი კონკურენტების ტემპს. სამწუხაროდ, ეს მომენტი ერთგვარად გამოგვრჩა მხედველობიდან.

ჩვენ გვმართებს უფრო ანალიტიკურად გავიაზროთ ბელორუსიის, ყაზახეთის, უზბეკეთის სპორტული დელეგაციების წარმატებათა საფუძველი, ვისწავლოთ მათგან რაც ჩვენთვის მისაღები და სასარგებლოა, უწინარეს ყოვლისა, ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტის პრაქტიკა. რადგანაც ჩვენი სპორტი ძირითადად სწორ მიმართულებას ადგას, უფრო თვითკრიტიკული მიდგომა უნდა გამოვიჩინოთ, არ უნდა დაგვავიწყდეს ახლო წარსულის მანკიერი სტილი, რომელიც გულისხმობდა მიღწევათა ფართო დემონსტრირებას და ჩამორჩენის მიჩქმალვას.



აი, ამ თვალსაზრისით ღირს ცალკეულ სახეობებზე საუბარი, რათა წარმოვაჩინოთ, რამდენად უწყობენ ფეხს მათი წარმომადგენლები წინსვლას. სეზონის ყველაზე დიდ იმედგაცრუებად უნდა ჩავთვალოთ თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა სასპარტაკიადო გამოსვლა. საქმე ერთ ასპარეზობას რომ ეხებოდეს, ასე მკაცრი არ ვიქნებოდით, მაგრამ გადის წლები, ჩამორჩენა სულ უფრო და უფრო ღრმავდება, ფაქტობრივად (იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს დროებითია) ჩვენი სპორტის ავანგარდს გამოაკლდა ოდესღაც მძლავრი რაზმი. ეს მით უფრო სამწუხაროა, რომ სწორედ ქართველი თავისუფალი სტილის მოჭიდავეები მრავალი წლის მანძილზე იყვნენ ჩვენი სპორტის ალამდარები. საკავშირო, ევროპის, მსოფლიოს თუ სპარტაკიადის ჩემპიონების საერთო რაოდენობიდან ლომის წილი მათზე მოდიოდა. სპარტაკიადამ მხოლოდ დაადასტურა პესიმისტური აზრი, რომელიც წინათაც გამოთქმულა თავისუფალ ჭიდაობაში შექმნილი საგანგაშო მდგომარეობის გამო. მაგრამ უკვე რამდენიმე წელია ამ დარგის მესვეურები მხოლოდ იმედებს გვთავაზობენ, რეალურ წინსვლაზე კი ლაპარაკიც ზედმეტია.

რა შეიძლება ვუწოდოთ თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა გუნდის IX ადგილს სპარტაკიადაზე? რითაა ეს მარცხი გამოწვეული? — კადრებთან მუშაობის სუსტი პრაქტიკით, უხეირო ორგანიზაციით, მწვრთნელთა დაბალი კვალიფიკაციით, იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის შესუსტებით. ძალზე ბევრი ნაკლი ხომ არ არის ერთი სახეობისათვის?!

მძლეოსნობაში ჩვენი ჩამორჩენა ქრონიკული ხასიათისაა, მაგრამ, დაგვეთანხმებით, ეს დიდი ვერაფერი ნუგეშია, მით უმეტეს, რომ საუბარია სახეობაზე, რომელიც ყველაზე მეტ სასპარტაკიადო ქულას იძლევა. თუ გვინდა, საამისო სურვილი კი საკმაოდ გვაქვს, სინამდვილეში შევამციროთ სხვაობა ძირითად კონკურენტებთან, სერიოზულად უნდა მოვკიდოთ ხელი „სპორტის დედოფლის“ განვითარებას. სპარტაკიადამ დაგვანახა, რომ ჩვენს მძლეოსნობას ჰყავს რეზერვი, რომ მისი პერსპექტივა იმედის მომცემია. ამის საფუძველს უბრალო არითმეტიკული ანგარიშიც კი იძლევა; წინა სპარტაკიადასთან შედარებით, რესპუბლიკის მძლეოსნებმა სამი საფეხურით წინ წაიწიეს. დაახლოებით ასეთივე ვითარებაა ცურვაშიც. აქაც ერთგვარი პროგრესი შეიმჩნევა, მაგრამ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ცურვა ზედმიწევნით სწრაფად ვითარდება და პოტენციურმა კონკურენტებმა არ უნდა გაგვისწრონ.

ჩვენ ფრაგმენტულად მიმოვიხილეთ ბოლო სპარტაკიადაზე რესპუბლიკის სპორტული დელეგაციის შედეგები, რომლებიც, როგორც უკვე ვთქვით, უფრო მეტ ანალიზს იმსახურებს. საერთო საქმის ინტერესებისათვის ყურადღება ძირითადად ჩრდილოვან მხარეებზე გავამახვილეთ. თუმცა მიღწევები ამ დიდ შეჯიბრებაში საკმაოდ გვქონდა.

სპორტული სეზონი სპარტაკიადის გარდა სხვა მოვლენებითაც იყო მდიდარი. ყველაზე საგულისხმოდ მათ შორის ქალთა საჭადრაკო სკოლის უბრწყინვალესი გამარჯვება უნდა მივიჩნიოთ. ნანა იოსელიანმა, ნინო გურიელმა და ნანა ალექსანდრიამ ახალი შარავანდედით შემოსეს ჩვენი სპორტი. მართლაც, მსოფლიო პირველობის რვა პრეტენდენტიდან ოთხი ქართველი მოჭადრაკეა, ხოლო მაია ჩიბურდანიძე ხომ არის და არის მსოფლიო ჩემპიონი. ასეთი რამ არ ახსოვს მსოფლიო ჭადრაკის ისტორიას.

სეზონის ბოლო აკორდი გახლდათ ძიუდოისტის თეიმურაზ ხუბულურის გამარჯვება პარიზის მსოფლიო ჩემპიონატში. მხატვრული ტანვარჯიშის სამყაროში ახალი სკოლა გამოჩნდა. ამ სახეობის ქართველმა ოსტატებმა ირინე გაბაშვილის მეთაურობით ახალი ფურცელი ჩაწერეს რესპუბლიკის მხატვრული ტანვარჯიშის მატიანეში.

კვლავ ისახელეს თავი ჩვენმა შესანიშნავმა ჩოგბურთელებმა. აი, უკვე მერამდენე წელია ისინი თავიანთი ლიდერის ალექსანდრე მეტრეველის თავკაცობით გამარჯვებებს იმკიან. ამჯერად მათ საკავშირო თასის გათამაშებაში წარმატება ჩაიწერეს.

დაბოლოს, მისი უდიდებულესობა — ფეხბურთი. უკანასკნელი წლების შედეგების მიხედვით თბილისის „დინამოს“ თამამად შეიძლება დიდი გუნდი ვუწოდოთ. გუნდის უპირველესი ღირსება, რაც სათანადოდ შეაფასა საკავშირო პრესამ, მისი შედეგების სტაბილურობაა. საბჭოთა კავშირის თასი, მეორე ადგილი სპარტაკიადაში, მეოთხე — საკავშირო ჩემპიონატში უთუოდ საგულისხმო მიღწევათა რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ.

აი, დაახლოებით ასე გამოიყურება ჩვენი სპორტი მოახლოებული ოლიმპიადის წინ, რომელიც კიდევ ერთი შემოწმება იქნება მისი რეალური ძალებისა.

# დაე, გაიმარჯვოს უძლიერესმა!



(მარცხნიდან): ნონა გაფრინდაშვილი, ნანა ალექსანდრია, ნანა იოსელიანი და ნინო გურიელი.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის გადაწყვეტილებით ახალი, 1980 წელი ქალთა შორის მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა მატჩების გათამაშებას დაეთმობა. მან უნდა დაასახელოს დიდოსტატი, რომელიც 1981 წელს მატჩში შეხვდება მსოფლიო ჩემპიონ მაია ჩიბურდანიძეს.

პრეტენდენტები რვანი არიან: ნონა გაფრინდაშვილი, ნანა იოსელიანი, ნინო გურიელი, ელენა ახმილოვსკაია, ნანა ალექსანდრია (ყველა სსრ კავშირი), ჟუჟა ვერეცი (უნგრეთი), ტატიანა ლემაჩკო (ბულგარეთი) და ალა კუშნირი (ისრაელი).

რიო-დე-ჟანეიროში გაიმარჯვა თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტმა, 17 წლის ნანა იოსელიანმა. მან სტარტზე ენერგიული თამაშით ზედიზედ 12 პარტია მოიგო, რაც მანამდე საზონათაშორისო ტურნირების ისტორიაში არავის (ვაჟებსაც) გაუკეთებია. საბოლოოდ, ნანამ 14,5 ქულა მოაგროვა 16 შეხვედრაში, რაც ქულათა 90,6 პროცენტია. ნანას ორ-ნახევარი ქულით ჩამორჩა ჟუჟა ვერეცი, სამით — ნანა ალექსანდრია.

ალიკანტეში პრეტენდენტთა საგზურებს გაცხარებული ბრძოლის შემდეგ დაეუფლნენ ელენა ახმილოვსკაია, ტატიანა ლემაჩკო (13,5 ქულა თითოეულს) და თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტი, 18 წლის ნინო გურიელი(12).

ნინომ განაცვიფრა ესპანელები თამამი იერიშებით და მტკიცე ხასიათით. სტარტზე ზედიზედ ექვს მეტოქეს დააყრევინა ფარ-ხმალი. მაგრამ ფინიშზე, მაშინაც, როდესაც ბოლოსწინა ტურში დამარცხდა, იგი მხნედ განაგრძობდა ბრძოლას.

ამ ტურნირებში ნანამ და ნინომ საერთაშორისო დიდოსტატის მაღალი წოდებაც მოიპოვეს. ახლა ჩვენ ხუთი დიდოსტატი ქალი გვყავს. უახლოეს წარსულში, 1957 წლამდე ერთი ოსტატიც არ გვყავდა.

საზონათაშორისო ტურნირებში ქართველი მოჭადრაკეების დიდმა გამარჯვებამ ქვეყანა აალაპარაკა. სწორედ ამ ორიოდე წლის წინ მსგავსმა წარმატებებმა ათქმევინეს ფიდე-ს გენერალურ მდივანს ქალბატონ ინეკა ბაკერს (ჰოლანდია): „მინდა მადლობა ვუძღვნა საქართველოს, მშვენიერ საქართველოს, რომელიც ცნობილია სტუმართმოყვარეობით და კულტურით, იმისათვის, რომ მან თავისი საუცხოო ასულები აჩუქა ჭადრაკს. საქართველო რომ არ იყოს, ქალთა ჭადრაკის სამყარო ალბათ... არსად იქნებოდა“.

მეოთხედფინალურ მატჩებში ერთმანეთს შეხვდებიან გაფრინდაშვილი — გურიელი, იოსელიანი — ვერეცი, ახმილოვსკაია — ალექსანდრია, კუშნირი — ლემაჩკო. ეს შეხვედრები, სადაც 10-10 პარტია უნდა გათამაშდეს, პირველ აპრილამდე დამთავრდება. პირველ ორ და მეორე ორ წყვილთა შორის გამარჯვებულები ერთმანეთს შეხვდებიან ნახევარფინალურ მატჩებში. აქაც 10-10 პარტია მოეწყობა და ბრძოლა პირველ აგვისტომდე უნდა დამთავრდეს. ფინალურ მატჩში ერთმანეთს დაუპირისპირდებიან ნახევარფინალებში გამარჯვებული დიდოსტატები. ამჯერად ისინი 12 პარტიას ითამაშებენ. ეს მატჩი პირველ დეკემბრამდე უნდა დამთავრდეს. ამ ორთაბრძოლაში გაირკვევა პრეტენდენტი, რომელიც 1981 წელს მსოფლიო ჩემპიონს ტიტულში შეეცილება.

ცხადზე უცხადესია, პრეტენდენტთა ჭიდილი ბევრს ააღელვებს, მოსვენებასა და ძილს დაუკარგავს. როგორც არ უნდა დატრიალდეს თითოეული მატჩის ბედი, დაე, გაიმარჯვოს უძლიერესმა.

**თენგიზ გიორგაძე**

## წიგნი და მკითხველი

### „სიჩუმე“

ცნობილი მწერლის, რუსთაველის პრემიის ლაურეატის არჩილ სულაკაურის ლექსების პატარა კრებულს — „სიჩუმე“ (გამომცემლობა „ნაკადული“, 1978 წელი) — პოეზიის მოყვარულმა მკითხველმა გამოსვლისთანავე სავსებით სამართლიანად შეარქვა „ჭეშმარიტად კარგი წიგნი“. მასში კიდევ ერთხელ დიდი ელვარებით გამოჩნდა ავტორის უაღრესად პოეტური სული, ფრაზის მიგნების საოცარი უნარი, დახვეწილი შინაგანი ინტელექტი.

ამ წიგნში ყველაფერი ძალზე ზომიერად ერწყმის ერთმანეთს: სათუთად შერჩეული თემატიკა, მხატვრული სახეები, მოვლენების ფილოსოფიური გააზრება...

მკითხველისათვის პირველი ლექსიდანვე ხდება ნათელი პოეტის ადამიანური ცხოვრების კრედო:

**მე ჩემს თავს**
**მაინც ბოლომდე დავცლი,**
**საწუთროების აზრიც ეგ არის...**

. . . . . . . .

**სულ შენი ვალი უნდა ვიხადო,**
**სულ უნდა ვზიდო შენი ჭაპანი!**

ქართული პოეზიის მარადიული თემა — პატრიოტიზმი მწერალს სრულიად ორიგინალურად აქვს გააზრებული ლექსებში „შემოდგომა“, „შენ, ერთადერთო ჩემო მამულო“, „ქვეყნად რაიმე მაქვს, თუ არა მაქვს“, „კახეთის მონატრება“ და სხვა. რაოდენ გულწრფელია და ძალდაუტანებელი პოეტის სტრიქონები:

**შენ,**
**ერთადერთო ჩემო მამულო,**
**სულ შენგანა მაქვს,**
**რაიმე თუ მაქვს.**
**მომეცი ნება,**
**რომ ვიხმაურო,**
**როგორც ბალახის ფესვებმა,**
**ჩუმად.**

იშვიათია ისეთი წიგნი, რომელიც თავიდანვე ამაღლებულად იწყება, ბოლომდე ჩაიკითხავ სულმოუთქმელად და არსად არ ეცემა განწყობილება. ასეთი ბედნიერი გამონაკლისია „სიჩუმე“. მოგზაურობის შთაბეჭდილებები, პოეტის წუთიერი ადამიანური განცდები, მეგობრის ნაღვლიანი გახსენება და კიდევ ბევრი სათქმელი ერთნაირი ძალით არის გადმოცემული კრებულში, რომლის უძლიერესი ლირიკული ლექსებიც არის: „სიჩუმე“, „განთიადისას ზღვამ დაიხია“, „წიქარა“, „ჯიუტად მოდის თეთრი ზამთარი, „გადაიკარა, გადაიკარა“ და სხვ.

ლექსში „მხატვარი“ არჩილ სულაკაური შესანიშნავად ხსნის „ღმერთივით ამაყი კაცის“ — ფიროსმანის პიროვნებას, მის შინაგან სულიერ სამყაროს, ხელოვანის ბუნებას:

**იყო ღმერთივით კეთილი კაცი**
**და მუშამბაზე ბავშვებს ხატავდა.**
**სულს არიგებდა ნაწილ და ნაწილ**
**და ღვთის წინაშე მდგარი გათავდა.**

მკითხველს ჭეშმარიტად ახარებს არჩილ სულაკაურის ყოველი ახალი წიგნი, მისი „სიცოცხლით, სევდით, ფერებით, აზრით“ სავსე პოეტური თუ პროზაული ნაწარმოებები.

**ნათელა გიორგობიანი**



16 408

პატარებისათვის

თამარ ჩხაიძე

# საახალწლო

მოთხრობა

1980 წლის დამდეგი იყო. იქ კი შორს, შორს ახალი წელი უკვე დამდგარიყო. მას ფირუზისფერი თვალები და ხორბლისფერი კულულები ჰქონდა, თავზე მტრედისფრთიანი ქუდი ეხურა, ფეხზე ვაზის ფოთლის ქალამნები ეცვა. მხარზე ჭრელი ხურჯინი გადაეკიდა. ხურჯინიდან ჩურჩხელები, გოზინაყი და ფოჩიანი კანფეტები მოუჩანდა. მოდიოდა, მოღიღინებდა:

— მოვდივარ, მომიხარია, მომაქვს ბარაქა სოფლად და ქალაქად: პური და ჯამი ღვინით სავსე, ოქრო და ვერცხლი, ტყვია არც ერთი!

— მობრძანდით, ჩვენთან მობრძანდით! — უხმობდნენ ყოველი მხრიდან.

— გეახლებით, გეახლებით, ყველა სახლის კარს მივადგები საათი რომ შუაღამეს ჩამოკრავს.

ქართული ახალი წელი ქართულ მიწაზე მოაბიჯებდა. იარა, იარა, ბევრი იარა თუ ცოტა, გზაზე მორთულ-მოკაზმული პატარა ნაძვის ხე შემოხვდა, დგას, კამკამებს.

— ბიჭოს, ამას რა ჯობს! — შესძახა ახალმა წელმა, აიღო ნაძვის ხე, მარჯვენა მხარზე შეიდგა და გასწია. იარა, იარა, დიდხანს იარა თუ ცოტა ხანს, გზაზე ჩიჩილაკი შემოხვდა. დგას და ბურბუშელა კულულებით ქათქათებს.

— ბიჭოს, ამას რა ჯობს! — შესძახა ახალმა წელმა. ჩიჩილაკი აიღო, მარცხენა მხარზე შეიდგა და გასწია. მოდიოდა, მოღიღინებდა:

— წლები, წლები, ვით ჩიტები, მიფრინავენ, მოფრინავენ, ძველს ვაცილებთ, ახალს ვხვდებით, დელი, დელი, დელი, დელი!

იარა, იარა... ვნახოთ გზაზე ჩაის მეკვრა ძევს და ხმას იმაღლებს:

— მიმავალ წელს ვიმარჯვე, მომავალში კიდევ უფრო ვიმარჯვებ!

— ბიჭოს, მწვანე ოქროს რა ჯობს! — თქვა ახალმა წელმა, ქართული ჩაი ჭრელ ხურჯინში ჩაიდო და წასვლა დააპირა, მაგრამ ამ დროს მკლავის სიმსხო ოქროსკბილა სიმინდის ტარომ უხმო:

— აშორდია, აშო მორთი, ღედოფალი მქვია სოფლის!

ალტაცებით უყურა ახალმა წელმა უხვი მოსავლის ოსტატების მიერ მოყვანილ სიმინდის ტაროს, უყურა, მერე ისიც ჭრელ ხურჯინში ჩაიდო. წასვლა მოინდომა, მაგრამ წინ მანდარინ-ფორთოხლების ოქროს მთები გადაეღობა.

— ჩვენც, აჭარული ციტრუსები, ვართ ღირსი ქებისა. თან წაგვიყვანე!.

ოქროს მთებს ქარვა-გიშრის მთები შეემატნენ:

— ჩვენ, ჩვენ, ყურძნის აკიდოებს გვტოვებ?!

რუსთავმა — ფოლადი დაახვავა, ცხენჯესმა — ფერადი ნათურები — ჩვენც თან წაგვიყვანეო.

შეწუხდა ახალი წელი:

— ყველას ვერ ავწევთ მხრებით, არადა რომელს [illegible] თქვენ — [illegible], თქვენი!

ამ დროს სადღაც და [illegible] ქართული ავტომანქანა გამოჩნდა.

— ბამზე მივდივარ, თქვენც მიგიყვანთ სადაც მიბრძანებთ! — და ყველანი ძარაზე დაისვა.

იქროლა ქართულმა ავტომანქანამ. დიდხანს იქროლა თუ ცოტა ხანს, კომკავშირის ხეივანს სწორედ მაშინ მიადგა, როცა შუაღამეს ხუთი წუთი აკლდა.

გაიღო დედაქალაქის მეცხრე კარი და ახალ წელს შეეგება ქართველი მანდილოსანი, რომელსაც ერთ ხელში ხმალი ეჭირა, მეორეში — თასი.

მიუახლოვდა ახალი წელი ქართლის დედას, დაიჩოქა, ორთავე ხელზე აკოცა და თასი ღვინით აუვსო.

ქართლის დედამ თავი ასწია და დაილოცა:

— თბილისელებო, ყველა ეროვნების შვილებო, გილოცავთ ახალ წელს: დაე, იგი ყოფილიყოს ჯანის, მშვიდობის, კეთილი დედამამიშვილობის, სიყვარულის, სიხარულის მომცემი!

და გაისმა მარად უკვდავი, ლოცვასავით ამაღლებული მრავალჟამიერი. ეკავდა თბილის-ქალაქის საათი. ხუთქიმიან ვარსკვლავებად დაფარფატებდნენ ქათქათა ფანტელები და ადიოდა ტახტრევანზე 1980 წელი!

გოდერძი ჩოხელი

# სიყვარული

მოთხრობა

— სიყვარულზე რატომ არა წერ, ბალღო, ჰა? — მეკითხება თანდილა და დაკოურებულ ხელისგულს ჭაღარა წვერზე ისვამს.

— რასაც კი ვწერ, განა ყველაფერს სიყვარულზე არა ვწერ?!

— მე ქალისა და ვაჟის სიყვარულზე გეუბნები.

— რომ არავინ მიყვარს?

— რა?!

— ამქვეყნად ყველა და ყველაფერი მიყვარს, მაგრამ გამორჩევით ჯერ არავინ მყვარებია!

— ეეხ,შენ დროსაჲ რომ ვიყავ!

— გიყვარდა ვინმე, პაპა თანდილა?

— უმამიძმო ქალი იყო, ობლობით ამოიზარდა, მარიამი ერქვა. მაშინ ჩირდილის მთაში ისეთი ლამაზი გვირილები იზრდებოდა, რამდენჯერ მიფიქრია, მოვკრეფ და მარიამს მივართმევ-მეთქი, მაგრამ ერთიც კი არასოდეს მომიწყვეტია.

— რად არ მოწყვიტე?

— საძრახისად ითვლებოდა მაშინ ქალისათვის ყვავილის მირთმევა.

— ახლა აღარ იზრდება ის გვირილები?

— არა. დიდი ხანია ვეძებ, მაგრამ აღარ იზრდება.

— იმასაც უყვარდი, პაპა თანდილა?

— თავიდან არა. ვინლა არ მივუგზავნე ხელის სათხოვნელად, ახლოს არ გამიკარა.

— სხვაზე გათხოვდა?

— სალაღოს საწველავი ფერმიდან მოვიტაცეთ მე და მახარამ ღამით. ქაქეენთ ზემოთ რომ ეხია, იქ მივიყვანეთ.

— რატომ სახლში არ წამოიყვანე?

— ქალი უარზე იყო და მდევრის შემეშინდა, თან ტანსაცმელიც არ ჰქონდა, პერანგიანი წამოვიყვანეთ და ისიც სულ გზაზე შემოეხა. მახარაი სოფელში წამოვიდა, ჩემი დისთვის შეეტყობინებინა და ტანსაცმელი წამოეღო. ის შიგნით ეხში იყო, მე შესასვლელში წამოვწექი, რომ არ გამქცეოდა. ისე ანათებდა, იფიქრებდი, მთვარე ზის და ანათებსო. ვერ გავბედე ახლოს მისვლა. თვალები დავხუჭე რომ წარმომედგინა, როგორ მივახლოვებოდი... ოცნებამ შორს გამიტაცა და ჩამეძინა.

— გაიღვიძე, მოგიკვდეს და, აგრია და რაა! — შემომტირა ეხში მეორე დილით ჩემმა დამ. უცებ წამოვხტი, მივიხედ-მოვიხედე, მაგრამ ის იქ აღარ იყო. ისევ მივწექი და თვალები დავხუჭე; მინდოდა სიზმარი ყოფილიყო, მაგრამ ახლა გულს ჰკითხე, რა სიზმარი, რის სიზმარი! ერთი კვირა თვალი აღარ მომიხუჭავს, მერეც სულ ვკრთებოდი ძილში. ჰო, დამბაჩა მქონდა, რომ ჩამეძინა, ის დამბაჩა აეცლია ჩემთვის, გამოეტანა და იქვე ხის ახლოს დაედო ქვაზე. ერთი თვე საკუთარი თავი მეჯავრებოდა. ერთი თვის თავზე თვითონ მოვიდა და მითხრა: მიყვარხარ, რომ გამოგექეცი იმის შემდეგ შემიყვარდიო, კინაღამ გავგიჟდი,ირგვლივ რაც იყო, ყველაფერი ჩემი მეგონა. ჩემმა მშობლებმა დიდი ქორწილი გადაგვიხადეს, მაგრამ რა, ერთი თვეც არ ვიყავი მასთან — ციხეში ჩამსვეს.

— ციხეში? რატომ, რა დააშავე?!

— მაშინ ისეთი დრო იყო, მოვიდოდნენ და წაგიყვანდნენ. ეგრე წაყვანილი, იშვიათად თუ ვინმელა ბრუნდებოდა შინ...

თანდილა ცოტა ხანს ჩუმად იჯდა, მერე ისევ ჩამოისვა ჭაღარა წვერზე დაკოურილი ხელი და ხმაში ნაღველი მოეძალა:

— ციხეში გავიგე, სხვაზე გათხოვილა, ვიღაც ბარელს გაჰყოლია, გულის მოსაოხებლად ეს ლექსი დავწერე მაშინ:

„ქარიშხალს აუბნევია არწივის ბუდე მთაზედა, არაგვზე ჩამოფრენილა, სეტყვას დაუკრავს ფრთაზედა. ყორნებს უნახავთ ნადავლი, გაუტანიათ განზედა, ის არ იციან ოხრებმა დრო დაუდგებათ ცდაზედა; განიკურნება არწივი, არ მოისვენებს ბარზედა, ისევ მთისაკენ აიფრენს, თავის ძველ ნაბინარზედა“!

— გაუგზავნე?

— არა, გულის გარდა არცა დამიწერია ეს ლექსი. ხშირად ვიმეორებდი და იმით ვიოხებდი გულს. დაილოცოს ჩემი სალოცავი, ორი წლის მერე გამომიშვეს ციხიდან.

— აღარ შეგხვედრია?

— შემხვდა. ერთხელ შემხვდა ბუსარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საუბარი ჰატარებთან

**ბეჟან სვანიძე**

### ბულბული

განა ბევრს გთხოვთ? აღტაცებულს
საქართველოს მთა-ბარითა,
ერთ კარგ ტყეში, ერთ კარგ ხეზე,
ერთი კარგი ტოტი მინდა...

დავჯდები და მეც დავტკბები,
თქვენც დაგატკბობთ გალობითა!

### შეაყვარა ყველას თავი

შეაყვარა ყველას თავი
გოგონიამ ერთმა ციდამ.
— სილამაზით?
— რასა ბრძანებთ!
— აბა, როგორ? აბა რითა?
— კარგი სწავლით, კარგი ქცევით,
კარგი სიტყვა-პასუხითა!

### ბიჭი და მერცხალი

— ჩვენს ახალ სახლზე, მერცხალო,
ბუდეს რატომღა იკეთებ?
— მსურს დაებუდოს ამ ოჯახს
მშვიდობა, შრომა, სიკეთე...
ამისთვის მოველ აქ, თორემ
ყველგან ვნახავდი ცივ კედელს!

### ზურიკელა

წუხელ ამ პატარა ზურიკელამ,
იცით, რა გმირობა ჩაიდინა?
შარვალი თავისით გაიხადა,
ავიდა ლოგინზე და... დაიძინა!

ჭილის ჭალაზე: ეტყობა, დედის სანახავად იყო და იქიდან მოდიოდა. ხოსროკლდის ვიწროებში შევიყარენით. ზემოდან ის მოდის, ქვემოდან — მე. ბალღი ეჭირა ხელში და რომ დამინახა, შეშინებულმა გულზე მიიკრა. ნუ გეშინია, გამოიარე-მეთქი, დავუძახე შორიდანვე და წამოვიდა. რომ გამისწორდა, ერთხელ კი შემომხედა და გამცდა.

— არაფერი გითქვამს?

— ვუთხარი, როგორ არ ვუთხარი — ღმერთმა გაგიზარდოს ბალღი-მეთქი. მეტი რა მეთქვა. დავდექ და მიმავალს დავუწყე ყურება. წავიდა და წავიდა! როგორც ეხლა აი ეს არაგვი არ შემობრუნდება აღმა, ისე იმას აღარ შემოუბრუნებია პირი ჩემსკენ. ეეხ! — ამოოხვრით დაამთავრა თანდილამ და მომაჩერდა.

— რა გემართება, ბალღო, რას გაშტერებულხარ! — მკითხა ბოლოს.

არაფერი მითქვამს. ვიჯექი და მინდოდა, მთელი არსებით მყვარებოდა ვინმე... რატომღაც ცხადად წარმოვიდგინე, რომ დიდი ხნის მერე, სადაც ახლა თანდილა ზის, მე ვზივარ, ჭაღარა წვერზე დაკოჟრილ ხელს ვისვამ და მეზობლის ბალღს ვუყვები:

— წავიდა და წავიდა! როგორც ეხლა აი ეს არაგვი არ შემობრუნდება აღმა, ისე იმას აღარ შემოუბრუნებია პირი ჩემსკენ.

მეზობლის ბალღი სულგანაბული მისმენს. მე მას თვალებში ჩავხედავ და ვეტყვი:

— დაწერე, სიყვარულზე დაწერე, ბალღო!



საქართველოს სახალხო მხატვარ
**გიგლა ფირცხალავას**
საახალწლო მეგობრული შარჟი:

სოციალისტური შრომის გმირი ირაკლი აბაშიძე ახალ წელს ულოცავს ძველი თბილისის რიკულებიან აივანზე თავშეყრილ მეგობრებს — სოციალისტური შრომის გმირებს ვერიკო ანჯაფარიძეს, ლუბა ნიჟარაძეს, მიხეილ ცისკარიშვილს, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტს გიგა ლორთქიფანიძეს, სოციალისტური შრომის გმირ ალექსანდრე ოლეინიკოვს და საბჭოთა კავშირის სახალხო მასწავლებელს გრიგოლ კობახიძეს.

ზურაბ სოტკილავა და ოთარ მელვინეთუხუცესი, რომელთაც ახლახან მიენიჭათ საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის საპატიო წოდება, ჯერჯერობით კადრში არ ჩანან.

## გილოცავთ ახალ წელს, მეგობრებო!

# „დროშის" ლაურეატები

ეროვნული ბიბლიოთეკა


აკაკი შანიძე.


კოლაუ ნადირაძე.


გიორგი ნატროშვილი.


რევაზ მარგიანი.


აკაკი გეწაძე.


ეთერ გუგუშვილი.


თენგიზ სამსონაძე.


ჯემალ ლოლუა..


თარხან არჩვაძე.


თამაზ ნატროშვილი.


ბონდო დადვაძე.

## ჟურნალ „დროშის" პრემიები 1979 წლისათვის

„დროშის" სარედაქციო კოლეგიის ა. წ. 3 დეკემბრის გადაწყვეტილებით დაწესდა ყოველწლიური პრემიები და ფულადი ჯილდოები ჟურნალში გამოქვეყნებული საუკეთესო ნაწარმოებებისათვის.

ჟურნალ „დროშის" პრემიითა და ფულადი ჯილდოთი აღინიშნა 1979 წლის მანძილზე გამოქვეყნებული ნაწარმოებები: აკადემიკოს **აკაკი შანიძის** „მოგონებანი" (№ 11); პოეტ **კოლაუ ნადირაძის** წერილები: „სერგო კლდიაშვილი" (№ 2), „მოგონებათა ფურცლები" (№ 8); მწერალ **გიორგი ნატროშვილის** წერილები: „ლადო სულაბერიძე" (№ 5), „დიდი ისტორიული დოკუმენტი" (№ 8); პოეტ **რევაზ მარგიანის** წერილები: „ლია ბარათი მაყვალა მრევლიშვილს" (№ 3), „შოთა ნიშნიანიძე" (№ 4); მწერალ **აკაკი გეწაძის** მოთხრობა „შავთეთრი კლდე" (№№ 2, 3); ხელოვნებათმცოდნე **ეთერ გუგუშვილის** წერილი „გურამ სალარაძე" (№ 1); მხატვარ **თენგიზ სამსონაძის** — მხატვრული ნაწარმოებების ილუსტრაციები და ჟურნალის გრაფიკული გაფორმება; მხატვარ **ჯემალ ლოლუას** — იუმორისტული ჩანახატები სერიიდან „კაკალ გულში" (№№ 1, 5); ფოტოჟურნალისტ **თარხან არჩვაძის** — „მაყვალა მრევლიშვილის პორტრეტი" (№ 3); მწერალ **თამაზ ნატროშვილის** ისტორიული მოთხრობების სერია ციკლიდან „მატიანის ერთი ფურცელი" — „სიყვარული და ომი" (№ 1), „მან თითისტარი შუბად აქცია" (№ 3), „კაზაკები" (№ 8); ფოტოჟურნალისტ **ბონდო დადვაძის** ფოტოსურათები — „ბავშვები" (№ 6), „ზღვაზე" (№ 10).

გარეკანის პირველ და მეოთხე გვერდზე: ზამთარი. მხატვარი თენგიზ სამსონაძე

გადაეცა ასაწყობად 14/XII-79 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 27/XII-79 წ., ქაღალდის ზომა 70×108 1/8, ფიზიკური ფურცელი 2,5, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 3,5, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,2. ტირაჟი 55500. შეკვ. 3080. უე 06867. ფასი 30 კაპ.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» (на грузинском языке). Издательство ЦК КП Грузии

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის 14
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

რედაქციის მისამართი
380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42.
ტელ. — მთავარი რედაქტორის—99-54-66, პ/მგ. მდივნის — 99-82-69, განყოფილებათა გამგეების — 93-28-42, 99-01-39, რედაქციის სამდივნოსი... 99-54-66.

რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა




ჩემი საყვარელი
წიგნი



დედაშვილობა.

მიხეილ კვირიკაშვილის
ფოტო



ნ. 190/9
ეროვნული ბიბლიოთეკა